ახალი განათლება

2012 წელი, 29 მარტი - 4 აპრილი

ფასი 1 ლარი 30 თეთრი

№13 (567) გამოდის 1998 წლიდან

www.axaliganatleba.ge

დინასტია, რომელმაც ხელოვნებაში ეპოქა შექმნა

„ბალანჩი“ – ასე ეძახდნენ ძველ საქართველოში სამეფო კარის მასხარებს. ეტყობა ჩვენს საგვარეულოში ოდესღაც არსებობდა ტაკიმასხარა, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა ჩვენს მოდგმას. მასხარები მახინჯებიც უნდა ყოფილიყვნენ – კოჭლები, ბრუციანები, კუზიანები... მასხარები ჩინებული აქტიორები იყვნენ. მათ ყველაფერი შეეძლოთ: ცეკვაც, სიმღერაც და ჯამბაზობაც“ – ასე განმარტავს ცნობილი ქართველი კომპოზიტორი ანდრია ბალანჩივაძე საკუთარი გვარის ეტიმოლოგიას. ბალანჩივაძეების დინასტიის ღირსეული წარმომადგენლების შესახებ, ქართულ თუ უცხოურ პრესაში, არა ერთხელ დაიწერა. ამ გვარმა მართლაც გამორჩეული კვალი დააჩნია ქართულ კულტურას. ყველასათვის კარგად ცნობილი მელიტონ ბალანჩივაძე ქართული საკომპოზიტორო სკოლის ერთ-ერთი ფუძემდებელი იყო. მამის დაწყებული საქმე წარმატებით განაგრძო ანდრია ბალანჩივაძემ, რომელმაც ქართველ კომპოზიტორთა ღირსეული წარმომადგენლები აღზარდა. ბალეტმაისტერმა ჯორჯ ბალანჩინმა კი მსოფლიო აღიარება ჰპოვა. წინაპარ ხელოვანთა გზა ღირსეულად გააგრძელეს ანდრია ბალანჩივაძის შვილებმა – ჯარჯიმ, რომელიც განთქმული მუსიკოსი იყო და ბალერინა ცისკარმა. ბალანჩივაძეების ოჯახური ტრადიცია დღესაც გრძელდება – ანდრია (უმცროსი), ამირან ბალანჩივაძის შვილი, მევიოლინეა; ანტონი, ჯარჯი ბალანჩივაძის შვილი, პირველი ქართველი მხატვარია, რომლის ნამუშევრების გამოფენა ლუვრში მოეწყო. ხელოვნების გზას მხოლოდ ანდრია ბალანჩივაძის უფროსი ვაჟი ამირანი არ გაჰყოლია, მან პროფესიათ ფიზიკოსობა არჩია.

ამ გვარის ღირსეული წარმომადგენლების შესახებ ანდრია ბალანჩივაძის ქალიშვილი, ბალერინა **ცისკარი ბალანჩივაძე** გვიამბობს, რომელიც თავის დროზე თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის წამყვანი ბალერინა იყო.

გვერდი 8-9

თვალსაზრისი

გვჭირდება თუ არა სომხური, როგორც მშობლიური ენის სტანდარტი?

გვერდი 3

საატესტატო გამოცდები

გთავაზობთ ტესტების ნიმუშებს ბიოლოგიასა და გეოგრაფიაში

გვერდი 4

მეთოდიკა

მათემატიკის პედაგოგთა დასახმარებლად

ბიოლოგიის პედაგოგთა დასახმარებლად

გვერდი 4-5

საგანმანათლებლო კერა

კულტურული მაჯისცემის ყველაზე ღრმა კვალი

გვერდი 6-7

ხელმომწერთა საყურადღებოდ

„ვეფხისტყაოსნის“ ტექსტი წიგნში პირველად არის წარმოდგენილი ისე, რომ ყოველ სტროფს უშუალოდ ახლავს, მოსდევს მისი კომენტარი – ძნელად გასაგები სიტყვების, გამოთქმების და ფრაზების, სახეების, ქვეტექსტების განმარტება. ბუნებრივია, ეს გაუადვილებს მოსწავლეს პოემის ტექსტის აღქმას და გააზრებას, უფრო ეფექტიანს გახდის „ვეფხისტყაოსნის“ სწავლების პროცესს.

ანალიტიკურ გზამკვლევში, რომელიც „ვეფხისტყაოსანს“ ერთვის, დეტალურად არის გაანალიზებული პოემის მხატვრული რეალობა, პერსონაჟთა სახეები და მათი ურთიერთობა, სიტუაციები და კოლიზიები, რომლებშიც ისინი არიან მოქცეულნი. გზამკვლევში წარმოჩენილია ნაწარმოების ძირითადი პრობლემები, მოტივები, სათქმელი, კონცეფციის არსი. ანალიზი წარმართულია ნაწარმოების ეპიზოდების მიხედვით და პედაგოგს შესაძლებლობა ეძლევა, მოსწავლეებს ნაწარმოების ამა თუ იმ მონაკვეთის გაცნობისთანავე მიაწოდოს შესაბამისი ანალიტიკური განმარტება. ყოველივე ეს მიმართულია იმისკენ, რომ ახალგაზრდა მკითხველებმა უფრო მეტი ინტერესით, უფრო ცოცხლად აღიქვან რუსთაველის პოემა, უფრო ღრმად და საფუძვლიანად ჩაწვდნენ მის რთულ, მრავალპლანიან აზროვნებას.



შოთა რუსთაველი
ვეფხისტყაოსანი

კომენტირებული ტექსტი და ანალიტიკური გზამკვლევი ლიტერატურის შემსწავლელთა და მოყვარულთათვის

ტექსტის კომენტარების და ანალიტიკური გზამკვლევის ავტორი
თამაზ ვასაძე

ფასი 11 ლარი

„ახალი განათლების“ წიგნის თარო

ინფორმაცია

* * *

მასწავლებელთა სასერტიფიკატო, ერთიან ეროვნულ, საატესტატო და სამაგისტრო გამოცდებზე online რეგისტრაციის პროცესი დასრულდა. მასწავლებელთა სასერტიფიკატო გამოცდებზე 41 000 მსურველი დარეგისტრირდა, ორჯერ მეტი, ვიდრე გასულ წელს. ერთიან ეროვნულ გამოცდებზე 37 000 აბიტურიენტი დარეგისტრირდა, საატესტატო გამოცდებს 42 590 მეთორმეტეკლასელი ჩააბარებს, საერთო სამაგისტრო გამოცდებზე რეგისტრაცია 7564 მსურველმა გაიარა.

2012 წელს, პირველად, მასწავლებელთა სასერტიფიკატო, ერთიან ეროვნულ და სამაგისტრო გამოცდებზე რეგისტრაცია აპლიკანტებმა მხოლოდ ინტერნეტით, სამინისტროს გამოცდების ეროვნული ცენტრის ვებგვერდზე (www.naec.ge; online.naec.ge) გაიარეს. online რეგისტრაციამ ხარვეზების გარეშე ჩაიარა. განსაკუთრებით კომფორტული იგი აბიტურიენტებისთვის იყო, რადგან მათ არ უწევდათ ცოცხალ რიგში დგომა და, რეგისტრაციის ვადის ამოწურვამდე, რამდენჯერმე შეეძლოთ არჩევანის შეცვლა.

ერთიან ეროვნულ გამოცდებზე, 2012 წელს, სიახლეები რამდენიმე მიმართულებით ხორციელდება: მეორადი ჩარიცხვები გაუქმდა და, შვიდის ნაცვლად, აბიტურიენტებმა თავიდანვე ოცი სასურველი ფაკულტეტი აირჩიეს; მეოთხე საგნად უმაღლესმა სასწავლებლებმა მხოლოდ მაპროფილებელი საგნები აირჩიეს; სამედიცინო და იურიდიულ ფაკულტეტებზე მინიმალური კომპეტენციის ზღვარი გაიზარდა.

გასული წლის მსგავსად, წელსაც საატესტატო გამოცდები კომპიუტერის მეშვეობით, ე.წ. „CAT“-ის ტიპის საგამოცდო მოდელით, რვა საგანში ჩატარდება. კომპეტენციის ზღვარი თითოეულ საგანში 5,5 იქნება. გამოცდები, საგნების მიხედვით, საქართველოს ყველა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში ერთსა და იმავე დღეს ჩატარდება.

სიახლეა მასწავლებელთა სასერტიფიკატო გამოცდებზე – წელს დარეგისტრირების შესაძლებლობა უკლებლივ ყველა საგნის პედაგოგს ჰქონდა. მათ შორის, უკვე სერტიფიცირებულ პედაგოგსაც, რომელსაც სურვილი აქვს კომპიუტერისა და ინგლისურის ინტეგრირებული გამოცდა ჩააბაროს. ასევე, წელს პირველად, გამოცდებზე გასვლის შესაძლებლობა საბუნებისმეტყველო საგნების სერტიფიცირებულ პედაგოგებსაც ეძლევათ. ისინი გამოცდას ფიზიკის, ქიმიისა და ბიოლოგიის ექსპერიმენტულ ნაწილში ჩააბარებენ და გაზრდილ ხელფასს მიიღებენ.

* * *

პროექტის „დემოკრატია იწყება შენით“ ფარგლებში, სამხრეთ კავკასიის ახალგაზრდული პარლამენტის სხდომა მეორედ ჩატარდა. საქართველოდან და სომხეთიდან არჩეულმა მოსწავლეებმა ერთობლივი დეკლარაცია მიიღეს, რომელსაც ისინი მოგვიანებით ბრიუსელში, ევროპარლამენტში წარადგენენ.

სამხრეთ კავკასიის ახალგაზრდული პარლამენტის გახსნის ღონისძიებაში მონაწილეობა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა დიმიტრი შაშკინმა, სომხეთის განათლების სამინისტროს წარმომადგენლებმა და ევროკავშირის წარმომადგენლობის ხელმძღვანელის მოადგილემ ბორის იაროშევიჩმა მიიღეს.

„ეს პროექტი სამხრეთ კავკასიის ახალ თაობას საშუალებას აძლევს დემოკრატია საკუთარ თავზე გამოსცადონ“ – განაცხადა პროექტის „დემოკრატია იწყება შენით!“ დირექტორმა ჯანან ატილგანმა. სწორედ ამიტომ, საქართველოსა და სომხეთის განათლების სამინისტროები, კონრად ადენაუერის ფონდი, ედუარდო ფრაის ფონდი, სამხრეთ კავკასიის პოლიტიკური სწავლების სკოლები, ასევე, მხარს უჭერენ ამ უნიკალურ იდეას, შეკრიბონ სომეხი და ქართველი მოსწავლეები სამხრეთ კავკასიის ახალგაზრდულ პარლამენტში. მონაწილე მოსწავლეები არჩეულები არიან თანაკლასელების მიერ, სომხეთისა და საქართველოს რეგიონებიდან.

პროექტის „დემოკრატია იწყება შენით!“ საშუალებით სამხრეთ კავკასიის რეგიონის მასწავლებლები იძენენ სამოქალაქო განათლების სწავლების იმ უნარებს, რაც მათ მოსწავლეებს დაეხმარებათ, დემოკრატიის პრინციპები პრაქტიკაში გადაიტანონ. პროექტის მთავარი პრინციპია: „დემოკრატია საკუთარ თავზე უნდა გამოსცადო. მას მხოლოდ წიგნებიდან ვერ ისწავლი!“

* * *

რეფორმების გასაცნობად, ამჯერად, საქართველოში ბრაზილიელი სენატორი კრისტოვამ ბუარკე ჩამოვიდა. სენატორს დღეს, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი დიმიტრი შაშკინი შეხვდა და განათლების სფეროში განხორციელებული რეფორმები პირადად გააცნო.

კრისტოვამ ბუარკესთან შეხვედრისას დიმიტრი შაშკინმა რამდენიმე მნიშვნელოვან სიახლეზე გააკეთა განსაკუთრებული აქცენტი, კერძოდ, წელს პირველად, სტუდენტური დასაქმების პროგრამა ამოქმედდა, მოსახლეობა უფასოდ გადამზადდება ინგლისურში, კომპიუტერსა და პროფესიულ ორიენტაციაში, მიმდინარეობს პროფესიული განათლების ვაუჩერული დაფინანსება და სხვ.

მინისტრმა ვრცლად ისაუბრა იმ სიახლეებსა და პროექტებზე, რომლებიც საქართველოში ზოგადი, პროფესიული და უმაღლესი განათლების განვითარების კუთხით განხორციელდა და მომავალშია დაგეგმილი.

კრისტოვამ ბუარკემ წარმატებულად შეაფასა საქართველოს განათლების სფეროში მიმდინარე რეფორმები და აღნიშნა, რომ მათი გაზიარება და ქართულ მხარესთან მომავალი თანამშრომლობა ყველა ქვეყნისთვის მნიშვნელოვანია.

* * *

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში საგანმანათლებლო დაწესებულებათა e-Catalog – ელექტრონული კატალოგი შეიქმნა. კატალოგში შესულია დეტალური ინფორმაცია საჯარო სკოლების შესახებ.

e-Catalog მოიცავს სრულ ინფორმაციას სკოლების ინფრასტრუქტურული მდგომარეობის, სწავლების საფეხურის/სექტორის, სასწავლო პროცესის, პროგრამების, პედაგოგებისა და მოსწავლეთა მიღწევების, სკოლის უსაფრთოების შესახებ და ა.შ. კატალოგის ნახვა შესაძლებელია ვებგვერდზე – www. ecatalog.emis.ge

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა

დიმიტრი შაშკინმა და სამინისტროს განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის უფროსმა გიორგი გულუამ e-Catalog-ის პრეზენტაცია გამართეს.

საქართველოში პირველად შეიქმნა სრულყოფილი ელექტრონული კატალოგი, რომლით სარგებლობა და საგანმანათლებლო დაწესებულებათა შესახებ დეტალური ინფორმაციის მიღება ნებისმიერ დაინტერესებულ პირს შეეძლება. კატალოგი დაეხმარება პირველკლასელთა მშობლებსაც სასურველი სკოლის შერჩევასა და ინტერნეტრეგისტრაციაში, გაამარტივებს მოსწავლეთა მობილობის პროცესს. კატალოგში ასევე განთავსდება სკოლის საატესტატო გამოცდებისა და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩარიცხულ მოსწავლეთა მონაცემები.

ელექტრონული კატალოგის შექმნა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მრავალკომპონენტიანი ელექტრონული სტრატეგიის – E-strategy ფარგლებში განხორციელდა და სასწავლო დაწესებულებების გამჭვირვალეობასა და ხელმისაწვდომობას ემსახურება. მომავალში დაგეგმილია უმაღლესი და პროფესიული სასწავლებლების ელექტრონული კატალოგის შექმნა.

* * *

სამოქალაქო განათლების ხელშეწყობის პროექტის ფარგლებში, თბილისის კლასიკური გიმნაზიის უფროსკლასელები უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის საჯარო ლექციას და საგანმანათლებლო ინტერნეტთამაშის – „სასამართლოს“ პრეზენტაციას დაესწრნენ.

ინტერნეტთამაში, რომელიც სკოლის მოსწავლეებისათვის და სამართლის თემით დაინტერესებულ პირთათვისაა განკუთვნილი, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრს დიმიტრი შაშკინსა და თბილისის კლასიკური გიმნაზიის მოსწავლეებს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარემ კონსტანტინე კუბლაშვილმა წარუდგინა.

საგანმანათლებლო ინტერნეტთამაში სამოქალაქო განათლების სფეროს შეეხება და კითხვა-პასუხის პრინციპზეა აგებული. გამარჯვების მოსაპოვებლად, მოთამაშემ სამი ეტაპი უნდა გადალახოს და 800 ქულა დააგროვოს. თამაში ატვირთულია უზენაესი სასამართლოს ვებგვერდზე.

კონსტანტინე კუბლაშვილმა, თამაშის წარდგენის შემდეგ, მოსწავლეებს სამართლებრივ საკითხებზე საჯარო ლექცია წაუკითხა და მათ შეკითხვებსაც უპასუხა. შეხვედრის დასასრულს, კლასიკური გიმნაზიის მოსწავლეებმა უზენაესი სასამართლოს ისტორიული შენობა დაათვალიერეს და სამახსოვრო საჩუქრები მიიღეს.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, რამდენიმე წელია, წარმატებით ახორციელებს სამოქალაქო განათლების ხელშეწყობის პროექტს, რომელშიც არაერთი უწყებაა ჩართული. პროექტის მიზანია მოზარდებში მოქალაქეობრივი პაუხისმგებლობისა და თვითშეგნების ამაღლება. პროექტი მრავალკომპონენტიანია და ერთ-ერთი მათგანის ფარგლებში, საქართველოს ყველა კუთხიდან, მოსწავლეები პრეზიდენტის ადმინისტრაციას, საქართველოს პარლამენტს, უზენაეს სასამართლოს, იუსტიციის სამინისტროს, რუსთავის იუსტიციის სახლს სტუმრობენ და რეალობაში ეცნობიან მათ ფუნქციონირებას.

სუხიშვილის სასწავლო უნივერსიტეტი

2012 წლის 21 მარტიდან აცხადებს კონკურსს
სრული და ასოცირებული აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად
საზოგადოებრივ მეცნიერებათა ფაკულტეტის შემდეგ სპეციალობებზე:

საჯარო მმართველობა
სრული პროფესორის 1 ვაკანსია
ასოცირებული პროფესორის 1 ვაკანსია

ინგლისური ენის ფილოლოგია
სრული პროფესორის 1 ვაკანსია
ასოცირებული პროფესორის 1 ვაკანსია

საბუთების მიღება იწარმოებს უნივერსიტეტის კანცელარიაში,
2012 წლის 20 აპრილიდან 11 მაისის ჩათვლით.
საკონკურსო დოკუმენტაციის განხილვა მოხდება 2012 წლის 14 მაისიდან 28 მაისის ჩათვლით.

CV-ის, სილაბუსის და წარმოდგენილი დოკუმენტაციის ელექტრონული ფორმები
იხილეთ უნივერსიტეტის ვებგვერდზე – www.sukhishvilebi.edu.ge

თვალსაზრისი

გვჭირდება თუ არა სომხურის, როგორც მშობლიური ენის სტანდარტი?

რა მნიშვნელობა ენიჭება მშობლიურ ენას ადამიანის პიროვნებად ჩამოყალიბების პროცესში, ამაზე საუბარს აქ არ ვაპირებთ. მოკლედ აღვნიშნავთ: დიდი, უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება.

შესაბამისად, საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში მშობლიური ენის სწავლება დიდი დატვირთვის მქონეა. ეს კარგადაა წარმოდგენილი ეროვნულ სასწავლო გეგმაშიც. ქართულის, როგორც მშობლიური ენის სტანდარტში სრულადაა ჩამოყალიბებული ის კომპეტენციები, რომლებიც ზოგადი განათლების მქონე ადამიანს უნდა გააჩნდეს. აღნიშნული სტანდარტისათვის ერთი თვალის გადავლებაც ნათელ წარმოდგენას შეგვიქმნის მშობლიური ენის სწავლებისას პიროვნებაში დაგროვილ ცოდნაზე, შეძენილ უნარ-ჩვევებსა თუ ჩამოყალიბებულ დამოკიდებულებებზე.

თუ თითოეულ პიროვნებას განვიხილავთ როგორც ჩვენი სახელმწიფოს მოქალაქეს, მაშინ კარგად გავაცნობიერებთ მშობლიური ენის სწავლების მნიშვნელობას საქართველოს სრულფასოვანი, პატრიოტი მოქალაქის აღზრდის პროცესში.

როგორც ცნობილია, საქართველოს მოსწავლეთა, დაახლოებით, 10-15% არაქართველია და მათი უმეტესი ნაწილი განათლებას იღებს არაქართულენოვან (აზერბაიჯანულენოვან, სომხურენოვან, რუსულენოვან) სკოლებში. ამ სკოლებში მოსწავლეები სწავლობენ თავიანთ მშობლიურ ენებს და სხვა საგანთა სწავლებაც მათსავე მშობლიურ ენებზე მიმდინარეობს (ბოლო წლებში ინერგება საგანთა ბილინგვური სწავლებაც...).

როგორ ისწავლება მშობლიური ენები ქართულ არაქართულენოვან სკოლებში? ამ შეკითხვაზე პასუხის გასაცემად ჩვენ რაიმე საინფორმაციო წყაროზე ხელი არ მიგვიწვდება. სომხურ, აზერბაიჯანულ, რუსულ ენებში (შემდგომში ვისაუბრებთ მხოლოდ სომხურზე და ვიგულისხმებთ დანარჩენ ორსაც) არ ტარდება სასწავლო ოლიმპიადები, სომხური ენა არ არის შეტანილი მეთორმეტეკლასელთა გამოსაშვები გამოცდების სიაში. ასე რომ, სომხური ენისა და ლიტერატურის სწავლება ქართულ სომხურენოვან სკოლებში მიშვებულია თვითდინებაზე.

ვფიქრობთ, ეს ასე არ უნდა გაგრძელდეს. პირველი ნაბიჯი, რომელიც ამ მიმართულებით უნდა გადაიდგას, არის სომხურის, როგორც მშობლიური ენის სტანდარტის შემუშავება, რომლის საფუძველზეც შეიქმნება სახელმძღვანელოებიც.

აქ შეიძლება დაისვას კითხვები: ხომ არსებობს სომხეთის რესპუბლიკაში სომხური ენისა და ლიტერატურის სახელმძღვანელოები? საქართველოში უკეთეს სომხური ენის სახელმძღვანელოს დავწერთ, ვიდრე სომხეთში?

რა თქმა უნდა, სომხეთის რესპუბლიკაში იწერება და იბეჭდება სომხურის, როგორც მშობლიური ენის სახელმძღვანელოები, მაგრამ ეს სახელმძღვანელოები განმსჭვალულია მოძმე სომხური სახელმწიფოს ინტერესებითა და მისწრაფებებით. სომხური ლიტერატურის სომხურ სახელმძღვანელოებში მოსწავლისათვის სამშობლო სომხეთია. ჩვენი სომეხი თანამოქალაქეთათვის კი სამშობლო საქართველოა.

მიმაჩნია, რომ საქართველოს სკოლაში შესული სომეხი (აზერბაიჯანელი, რუსი...) პირველკლასელი მშობლიური ენის სახელმძღვანელოში საქართველოს სიყვარულს უნდა სწავლობდეს და არა სომხეთისას (აზერბაიჯანისას, რუსეთისას...). თუმცა, რა თქმა უნდა, სათანადო სიყვარული და დაფასება სჭირდება მათ ისტორიულ სამშობლოსაც. მშობლიური ენის სახელმძღვანელო დამშვენებული უნდა იყოს საქართველოს სახელმწიფო სიმბოლოებით და არა სომხეთის (აზერბაიჯანის, რუსეთის...) სახელმწიფო სიმბოლოებით. ქართულ სკოლებში შესასწავლი მშობლიური ენის სახელმძღვანელოები გაფორმებული უნდა იყოს საქართველოს პეიზაჟებითა და ისტორიული ძეგლებით და არა მეზობელი სახელმწიფოების პეიზაჟებითა და ისტორიული ძეგლებით.

აქ იმას არ ვამბობთ და ვფიქრობთ, რომ სომხური ლიტერატურული ნაწარმოების სახელმძღვანელოში დაბეჭდილი ტექსტი იმერეთის პეიზაჟებით უნდა იყოს გაფორმებული. რა თქმა უნდა, არა. მაგრამ იმას კი ვგულისხმობთ, რომ როდესაც „დროშას“ სწავლობს ჩვენი პირველკლასელი, საქართველოს დროშა უნდა ეხატოს მის სახელმძღვანელოში და არა სომხეთის (რუსეთის, აზერბაიჯანის...) და ა.შ.

გასაგებია, რომ ასეთ სახელმძღვანელოებს ჩვენთვის სომხეთში არ დაბეჭდავენ და ეს არც უნდა მოვთხოვოთ სომხებს. ასეთი სახელმძღვანელოები საქართველოში უნდა შეიქმნას და დაიბეჭდოს. მაგრამ კვლავ დაისმება კითხვა: სომხური ენისა და ლიტერატურის სახელმძღვანელოების დაწერა სომხეთში უკეთ არ შეუძლიათ? ისევე, როგორც ინგლისური ენის სახელმძღვანელოების დაწერა – ინგლისში. განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ ამიტომაც დაუკვეთა ინგლისური ენის სახელმძღვანელოების მოწოდება ქართული სკოლებისათვის ინგლისის ერთ-ერთ ცნობილ გამომცემლობას.

მაგრამ ერთია ინგლისურის, როგორც უცხოური ენის სახელმძღვანელო და მეორეა სომხურის, როგორც მშობლიური ენის სახელმძღვანელო. უცხოური ენის სწავლების მიზნები განსხვავდება მშობლიური ენის სწავლების მიზნებისგან. ზემოთაც აღვნიშნეთ და გავიმეორებთ, მშობლიური ენის სასკოლო კურსი დიდწილად განაპირობებს სახელმწიფოს მოქალაქის ამ სახელმწიფოს პატრიოტად ჩამოყალიბებას.

ერთიც არის: საქართველოში არაქართულენოვან სკოლათა რიცხვი არცთუ მცირეა. ამ სკოლებში პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწევიან სომხური (აზერბაიჯანული, რუსული) ენისა და ლიტერატურის შესანიშნავი მასწავლებლები. ვფიქრობთ, მათგან ამოირჩევიან ისეთი პედაგოგებიც, რომლებიც სათანადო გადამზადების შემდეგ მშვენიერ სახელმძღვანელოებს შექმნიან.

აღვნიშნეთ, რომ ამ მიმართულებით პირველი ნაბიჯი სომხურის, როგორც მშობლიური ენის სტანდარტის შექმნა უნდა იყოს. რა დასამალია და, დიდი მუშაობა ამ საქმეს არ დასჭირდება, რადგან სომხურის (აზერბაიჯანულის, რუსულის...), როგორც მშობლიური ენის სტანდარტი (თავის შედეგებიანინდიკატორებიანად) მსგავსი იქნება ქართულის, როგორც მშობლიური ენის სტანდარტისა. განსხვავებული იქნება, ცხადია, ის ნაწარმოებები, რომელთა მეშვეობითაც მოსწავლემ სტანდარტით გათვალისწინებულ შედეგებს უნდა მიაღწიოს.

ანუ, იმისათვის, რომ მოსწავლემ შეძლოს მშობლიურ ენაზე აზრის გამართულად გადმოცემა, ქართველ ბავშვს გურამიშვილი უნდა ვასწავლოთ, ხოლო სომეხ ბავშვს აბოვიანი. ამასთან, სომხური ენისა და ლიტერატურის სახელმძღვანელოებში შეტანილი უნდა იყოს სომეხ მწერალთა ლექსები და სხვა ნაწარმოებები საქართველოს შესახებ. ვფიქრობ, ამ მხრივ მდიდარია სომხური (აზერბაიჯანული, რუსული...) ლიტერატურა.

აქვე უნდა წამოვჭრათ ერთი საკითხიც. არაქართულენოვან სკოლებში დიდი ყურადღება ექცევა ქართულის, როგორც მეორე ენის სწავლების გაუმჯობესებას. პირადად ვარ ჩართული საპრეზიდენტო პროგრამაში „კვალიფიციური ქართული ენის პედაგოგები არაქართულენოვანი რეგიონების სკოლებში“, რომელსაც განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო ახორციელებს. ახლო მომავალში მე ვერ ვხედავ იმის შესაძლებლობას, რომ ქართულის, როგორც მეორე ენის სწავლება ისეთ საფეხურზე ავიდეს, რომ სომეხმა მოსწავლეებმა მასობრივად შეძლონ ქართველ კლასიკოსთა ნაწარმოებთა სწავლა ქართულ ენაზე. მიგვაჩნია, რომ საქართველოს ყველა მოქალაქეს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში ნასწავლი უნდა ჰქონდეს ქართული ლიტერატურის კლასიკური ნაწარმოებების გარკვეული ნაწილი.

ამისთვის უნდა გამოვიყენოთ მშობლიური ენის სწავლება. სომხურის, როგორც მშობლიური ენის სტანდარტით გათვალისწინებული შედეგების მისაღწევად, სომხური ლიტერატურის ნიმუშებთან ერთად, გამოყენებული უნდა იყოს სომხურ ენაზე ნათარგმნი ქართველ კლასიკოსთა ნაწარმოებებიც. სკოლაში შესასწავლი ტექსტების დაახლოებით მესამედი ქართული კლასიკური ლიტერატურის ნიმუშებს უნდა შეადგენდეს. თუ არ არის ნათარგმნი, ვთარგმნოთ. „ვეფხისტყაოსანი“ ხომ არის ნათარგმნი?

ასევე უნდა გაკეთდეს ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლებისას. ქართული ენის სწავლების დროს უნდა გამოვიყენოთ სომეხი (აზერბაიჯანელი, რუსი...) კლასიკოსების ნაწარმოებები. ეს ხელს შეუწყობს საქართველოს კულტურული მრავალფეროვნების წარმოჩენასა და მოქალაქეთა შემწყნარებლური შეგნების განმტკიცებას.

გიორგი ჯაუჭიძე
წალკის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩივთკილისის ქართული ენის მასწავლებელი

P.S. სომხური ლიტერატურის მე-10 კლასის სახელმძღვანელოში ვკითხულობთ: „მან (მესროპ მაშტოცმა) ასონიშნები შექმნა აგრეთვე სომხეთის კულტურული გავლენის ქვეშ მყოფი ქართველებისა და აღბანელებისათვის“ (ჰენრიკ ბახჩინიანი, სერგეი სარინიანი, ჰრანტ თამრაზიანი, სომხური ლიტერატურა, სახელმძღვანელო მე-9 კლასისათვის, ერევანი, „ლუის“, 2000წ.). საქართველოს პრეზიდენტის მრჩეველს, ბატონ ვან ბაიბურთიანს კი მიაჩნია, რომ ასეთი მოსაზრება იდიოტიზმია (http://www.kvirispalitra.ge/politic/8562-qreligiebis-statusis-gansazghvra-garegin-ii-sar-mouthkhoviaq.html), მაგრამ, როგორც ჩანს, მას სომეხი მეცნიერები (ამ შემთხვევაში სახელმძღვანელოს ავტორები) არ ეთანხმებიან.

ინფორმაცია

* * *

პროფესიული განათლების მიღების მსურველთა რეგისტრაცია მიმდინარეობს. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის პირველი მოადგილე კოკა სეფერთელაძე და ჯანმრთელობის, შრომისა და სოციალური დაცვის მინისტრი ზურაბ ჭიაბერაშვილი პროფესიული განათლების ცენტრ „იკაროსს“ ეწვივნენ. ზურაბ ჭიაბერაშვილმა ბრეგაძეების სოციალურად დაუცველი ოჯახის ორ წევრს – ძმებს, დავითსა და კონსტანტინეს, პროფესიული განათლების 1000-ლარიანი ვაუჩერი პირადად გადასცა.

პროფესიული განათლების მიღების მსურველები სახელმწიფოსაგან 1000-ლარიან ვაუჩერს იღებენ და სასურველ სასწავლებელს თავად ირჩევენ. ვაუჩერით სრულად ფინანსდებიან სოციალურად დაუცველი სტუდენტები, მიმდინარე წლის ცხრაკლასდამთავრებულები და მეთორმეტეკლასელები, რომელთაც სკოლის დამთავრების შემდეგ პროფესიული განათლების დაუფლება გადაწყვიტეს. რეგისტრაცია, საქართველოს მასშტაბით, სამ საინფორმაციო ცენტრში წარმატებით მიმდინარეობს. სახელმწიფომ პროფესიული განათლების დაფინანსებისათვის შვიდი მილიონი ლარი გამოყო, რაც შვიდათას ადამიანს საშუალებას მისცემს ისწავლოს, იშრომოს, გახდეს პროფესიონალი და დასაქმდეს.

* * *

კიდევ ერთი მასწავლებლის სახლი საქართველოში – ქუთაისის მასწავლებლის სახლი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა დიმიტრი შაშკინმა იმერეთის გუბერნატორთან ლაშა მაქაცარიასთან და სამინისტროს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორთან, გია მამულაშვილთან ერთად გახსნა.

მასწავლებლის სახლი ქუთაისში, დღის განმავლობაში, 200-მდე პედაგოგს მოამზადებს. ტრენინგები ყველა საგანსა და პროფესიულ უნარებში აქ ყოველდღიურად ჩატარდება. ქუთაისის მასწავლებლის სახლში პედაგოგებს, ადგილობრივ ტრენერებთან ერთად, თბილისიდან ჩასული სპეციალისტებიც მოემსახურებიან. ტრენინგებზე დასასწრებად რეგისტრაცია უკვე დაწყებულია და შექმნილია ყოველდღიური გრაფიკი, ჯგუფების მიხედვით.

ქუთაისის მასწავლებლის სახლში კვალიფიკაციის ამაღლება, ადგილობრივ პედაგოგებთან ერთად, მიმდებარე რაიონების მასწავლებლებსაც შეუძლიათ. ტრენინგების გარდა, აქ

მასტერ-კლასები, სემინარები და სამუშაო შეხვედრებიც ჩატარდება. გარდა ამისა, სკოლის დირექტორები, მასწავლებლები და იქ დასაქმებული სხვა პირები მიიღებენ ნებისმიერი სახის კონსულტაციას, სკოლის ადმინისტრირებასთან და სამუშაო პროცესთან დაკავშირებით.

მასწავლებლის სახლი მიზნად ისახავს ადგილობრივი პედაგოგებისთვის კვალიფიკაციის ასამაღლებლად სათანადო პირობების შექმნას და სკოლაში დასაქმებული პირებისთვის დახმარების გაწევას. მასწავლებლის სახლის გახსნა მომავალში ზუგდიდში, ბათუმსა და ახალციხეშიც იგეგმება.

* * *

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი დიმიტრი შაშკინი ქუთაისის საინფორმაციო ცენტრს ეწვია და პროფესიული განათლების მიღების რამდენიმე მსურველს 1000-ლარიანი ვაუჩერი პირადად გადასცა.

დღეის მონაცემებით, ქუთაისის საინფორმაციო ცენტრმა 360 ადამიანი დაარეგისტრირა (ქუთაისი, ახალციხე, ოზურგეთი) შემდეგ მიმართულებებზე: ტურიზმი – 54, სამშენებლო – 67, სოფლის მეურნეობა – 31, ინფორმაციული ტექნოლოგიები – 59, საინჟინრო – 67, სხვა მიმართულებებზე – 82 მსურველი.

თბილისის საინფორმაციო ცენტრში 700-მა ადამიანმა (თბილისი, კახეთი, რუსთავი) გაიარა რეგისტრაცია, შემდეგ მიმართულებებზე: ტურიზმი – 107, სამშენებლო – 97, სოფლის მეურნეობა – 69, ინფორმაციული ტექნოლოგიები – 154, საინჟინრო – 156, სხვა მიმართულებებზე – 117.

ქობულეთის საინფორმაციო ცენტრმა 300 ადამიანი (ბათუმი, ქობულეთი, ფოთი), შემდეგ მიმართულებებზე დაარეგისტრირა: ტურიზმი – 64, სამშენებლო – 48, სოფლის მეურნეობა – 21, ინფორმაციული ტექნოლოგიები – 38, საინჟინრო – 67 და სხვა მიმართულებები – 62.

პროფესიული განათლების მიღების მსურველთა ვაუჩერული დაფინანსება 20 მარტიდან დაიწყო. სტუდენტთა რეგისტრაცია და მათთვის ვაუჩერების გადაცემა თბილისის, ქუთაისისა და ქობულეთის საინფორმაციო ცენტრებში ერთდროულად მიმდინარეობს და ეს პროცესი 20 აპრილამდე გაგრძელდება. ამავე ცენტრებში დაინტერესებულ პირებს ყველა საჭირო ინფორმაციის მიღება შეუძლიათ.

საატესტატო გამოცდები

გთავაზობთ საატესტატო გამოცდების ტესტების ნიმუშებს ინოვაციური განათლების ცენტრის „კალამი“ მიერ მომზადებული კრებულებიდან

ბიოლოგია

შემდგენელი – **ლია ნიკოლაიშვილი**

1. მწვანე მცენარეებს ახასიათებთ:
ა) ავტოტროფული კვება
ბ) ჰეტეროტროფული კვება
გ) მხოლოდ მიქსოტროპული კვება

2. მცენარეთა ორგანოების რთული მოძრაობა, რომელსაც მიმართულება არა აქვს, არის:
ა) ტაქსისი ბ) ტროპიზმი გ) ნასტია

3. რომელ ცხოველს ახასიათებს ორგვარი სუნთქვა:
ა) ძუძუმწოვრებს ბ) ამფიბიებს
გ) თევზებს დ) კიბოსნაირებს

4. რა ეწოდება მოვლენას, რომლის დროს მზესუმზირის ღერო იხრება, რათა ყვავილმა მზეს უყუროს:
ა) ტაქსისი ბ) ნასტია
გ) ჰელიოტროპიზმი დ) გეოტროპიზმი

5. ამების მოძრაობას, რომლის დროსაც ის გაურბის გამღიზიანებელს ეწოდება:
ა) დადებითი ტაქსისი ბ) უარყოფითი ტაქსისი
გ) დადებითი ტროპიზმი დ) უარყოფითი ტროპიზმი

6. ჩამოთვლილთაგან შოლტებით არ მოძრაობს:
ა) ამება ბ) ევგლენა გ) სპერმატოზოიდი

7. ფოტოსინთეზის შემაჯამებელი პროცესი გამოიხატება განტოლებით:
ა) $C_6H_{12}O_6 + 6O_2 \longrightarrow 6CO_2+6H_2O$
ბ) $6CO_2+6H_2O$ მზის სინათლე $C_6H_{12}O_6 + 6O_2$
გ) $C_6H_{12}O_6$ სპირტული დუღილის ბაქტერიები $2C_2H_5OH+2CO_2$

8. დელფინი, თევზი შეგუებულია წყალში ცხოვრებას, რადგან აქვს:
ა) ფარფლები ბ) ტრაქეები გ) კარგი მხედველობა

9. თევზი შეგუებულია წყალში სუნთქვას, რადგან აქვს:
ა) ფილტვები ბ) ლაყუჩები გ) ტრაქეები

10. ცოცხალი სისტემების ორგანიზაციის რომელი დონეა გულსა და პოპულაციურს შორის:
ა) ორგანიზმული ბ) ბიოცენოზური გ) ეკოსისტემური

პასუხები:
1. ა. ავტოტროფული კვება
2. გ. ნასტია
3. ბ . ამფიბიებს
4. გ. ჰელიოტროპიზმი
5. ბ. უარყოფითი ტაქსისი
6. ა. ამება
7. ბ. $6CO_2+6H_2O$ მზის სინათლე $C_6H_{12}O_6 + 6O_2$
8. ა. ფარფლები
9. ბ. ლაყუჩები
10. ა. ორგანიზმული

გეოგრაფია

შემდგენელი – **დალი ედილაშვილი**

1. საქართველო მდებარეობს ევრაზიის კონტინენტის იმ უძველეს სატრანსპორტო გზაჯვარედინზე, რომელიც მსოფლიოში ცნობილია:
ა) ამიერკავკასიის სახელწოდებით
ბ) ყუმა-მანიჩის ღრმულის სახელწოდებით
გ) კავკასიის ყელის სახელწოდებით
დ) იმიერკავკასიის სახელწოდებით

2. საქართველო მდებარეობს:
ა) ჩ.გ. 65°-70° და ა.გ. 100°-105°-ებს შორის
ბ) ჩ.გ. 41°-43° და ა.გ. 40°-46°-ებს შორის
გ) ს. გ. 41°-45° და ა.გ. 40°-50°-ებს შორის
დ) ჩ.გ. 41°-43° და დ.გ. 40°-46°-ებს შორის

3. საქართველო მოქცეულია:
ა) ევროპის და ამერიკის ბაქნებს შორის
ბ) აზიის და წყნაროკეანურ ბაქნებს შორის
გ) რუსეთის და აფრიკა-არაბეთის ბაქნებს შორის
დ) აფრიკა-არაბეთის და ინდოეთის ოკეანის ბაქნებს შორის

4. საქართველოს ტერიტორიაზე კავკასიონის და სამხრეთ მთიანეთის სახით წარმოდგენილია ალპურ-ჰიმალაური დანაოჭების:
ა) შიდა (სამხ.მთიანეთი) და გარე (კავკასიონის) ზონა
ბ) შიდა (სამხრეთი მთიანეთი) და გარე (მცირე კავკასიონი) ზონა
გ) გარე (სამხრეთი მთიანეთი) და შიდა (კავკასიონი) ზონა
დ) მხოლოდ გარე ზონა (კავკასიონი)

5. საქართველო მდებარეობს:
ა) სუბტროპიკული კლიმატური სარტყლის უკიდურეს სამხრეთ ნაწილში
ბ) ზომიერ კლიმატურ სარტყელში
გ) ტროპიკულ კლიმატურ სარტყელში
დ) სუბტროპიკული კლიმატური სარტყლის უკიდურეს ჩრდილო ნაწილში

6. საქართველოს „სატრანსპორტო გზაჯვარედინის“ აღმოსავლეთ-დასავლეთის მიმართულება აკავშირებს:
ა) ევროპას და რუსეთს
ბ) ევროპას და ჩრდ. ამერიკას
გ) ევროპას და აზიას
დ) ევროპას და აფრიკას

7. საქართველოს სატრანსპორტო გზაჯვარედინის ჩრდილო-სამხრეთის მიმართულება აკავშირებს:
ა) რუსეთს – სომხეთთან, თურქეთთან, ირანთან
ბ) ყაზახეთს – ევროპასთან
გ) რუსეთს – შუა აზიის ქვეყნებთან
დ) თურქეთს – აზერბაიჯანთან

8. საქართველოს უშუალო მეზობლებია:
ა) რუსეთი, ბულგარეთი, უკრაინა, აზერბაიჯანი
ბ) სომხეთი, ირანი, თურქეთი, აზერბაიჯანი
გ) აზერბაიჯანი, რუსეთი, ერაყი, უზბეკეთი
დ) თურქეთი, სომხეთი, აზერბაიჯანი, რუსეთი

9. ქართველები მიეკუთვნებიან:
ა) ინდოევროპულ ენობრივ ოჯახს
ბ) კავკასიურ ენობრივ ოჯახს
გ) ალთაურ ენობრივ ოჯახს
დ) სემიტურ-ქამიტურ ენობრივ ოჯახს

10. ყუმა-მანიჩის ღრმულსა და საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის საზღვრებში მოქცეულია:
ა) ჩრდილო კავკასია
ბ) იმიერკავკასია
გ) ამიერკავკასია
დ) კავკასია

პასუხები:

1. გ	3. ა	5. დ	7. ა	9. დ
2. დ	4. ბ	6. გ	8. ბ	10. ა

მეთოდიკა

ბიოლოგიის პედაგოგთა დასახმარებლად

ვაგრძელებთ გენეტიკური ამოცანების ამოხსნას

ამოცანა №5

დედა შავთმიანია, მამა – ქერა. მათი სამი შვილიდან გოგონებს ქერა თმა აქვთ, ვაჟს – შავი. როგორია მშობლების და შვილების გენოტიპები?

ამოხსნა:
შევადგინოთ პირობითი სქემა:

P: ♀ შავი თმა x ♂ ქერა თმა

F1: ♀ – ქერა თმა, ♀ – ქერა თმა, ♂ – შავი თმა.

როგორც ცნობილია, შავი თმა (M) დომინირებს ქერაზე (m). შავი თმა შესაძლოა განპირობებული იყოს MM ან Mm ალელების არსებობით. ქერა თმა რეცესიულია და მისი გენოტიპი იქნება mm.

პირობიდან გამომდინარე, წყვილს ჰყავს როგორც ქერა, ასევე შავთმიანი შვილები. ეს შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დედის გენოტიპი Mm იქნება (თმის შეფერილობის გენები სქესთან შეჭიდული არ არის, ალელები აუტოსომურ ქრომოსომებშია ლოკალიზებული. ის ფაქტი, რომ გოგონებს ქერა თმა აქვთ, ვაჟს – შავი, შემთხვევითია. წყვილს შესაძლოა გაუჩნდეს ქერათმიანი ვაჟი).

შევადგინოთ შეჯვარების სქემა:

P: ♀Mm x ♂mm

F1: Mm, Mm, mm, mm.

პასუხი: დედის გენოტიპია Mm, მამის – mm.

ქერათმიანი გოგონების გენოტიპია mm, შავთმიანი ვაჟის – Mm.

შემოთავაზებულ ამოცანაში განხილული იყო ალელური გენების ურთიერთქმედების მაგალითი.

განვიხილოთ არაალელური გენების ურთიერთქმედება ეპისტაზის მაგალითზე.

ეპისტაზის დროს ერთი გენი თრგუნავს სხვა, არაალელური გენის მოქმედებას. გენს, რომელიც თრგუნავს სხვა გენის მოქმედებას, სუპრესორი ეწოდება. სუპრესორი შესაძლოა იყოს დომინანტური ან რეცესიული.

დომინანტური ეპისტაზის შემთხვევაში, ორი ვარიანტია შესაძლებელი:

I – რეცესიული ალელების მქონე ინდივიდების ფენოტიპი განსხვავდება დომინანტური ალელების მქონე ინდივიდების ფენოტიპისგან.

ამოცანა №6

ერთ-ერთი სახეობის გოგრას შესაძლოა ჰქონდეს ყვითელი (A) და მწვანე (a) ფერის ნაყოფი. შეფერილობა ითრგუნება (B) დომინანტური გენ-სუპრესორით. დიჰეტეროზიგოტურ ინდივიდებს თეთრი ნაყოფი აქვთ, ხოლო რეცესიულ ჰომოზიგოტებს – მწვანე. როგორი შთამომავლობა მიიღება დიჰეტეროზიგოტური გოგრების შეჯვარებისას?

ამოხსნა:
შევადგინოთ შეჯვარების სქემა:

P: ♀ Aa Bb x ♂ Aa Bb

G: AB Ab aB ab AB Ab aB ab

♀ \ ♂	AB	Ab	aB	ab
AB	AABB	AABb	AaBB	AaBb
Ab	AABb	AAbb	AaBb	Aabb
aB	AaBB	AaBb	aaBB	aaBb
ab	AaBb	Aabb	aaBb	aabb

გოგრებს, რომლის გენოტიპში A და B გენები იქნება, თეთრი ნაყოფი განუვითარდებათ (AaBb, AABb, AaBB). ასეთი მცენარეების რაოდენობა იქნება 9/16.

ასევე თეთრი ნაყოფი ექნებათ aaBB და aaBb გოგრებს – 3/16.

ყვითელნაყოფიანი გოგრების გენოტიპები იქნება AAbb და Aabb – 3/16. ხოლო მცენარეთა 1/16 (გენოტიპი aabb) – მწვანე ნაყოფი ექნება.

დათიშვა 12:3:1 შეესაბამება.

II. დომინანტური ეპისტაზის მეორე შემთხვევაში რეცესიული ჰომოზიგოტები ფენოტიპურად არ განსხვავდებიან B – A– და B–aa გენოტიპის მქონე ინდივიდებისგან.

ამოცანა №7

ხორბლის ერთ-ერთი ჯიშის მცენარის მარცვალი შესაძლოა იყოს წითელი (X) და თეთრი (x). გენი-სუპრესორის (K) არსებობისას, პიგმენტის სინთეზი არ ხდება. როგორი გენოტიპები და ფენოტიპებია მოსალოდნელი F_2 თაობაში თეთრი მარცვლის მქონე დიჰეტეროზიგოტური ინდივიდების შეჯვარებისას?

ამოხსნა:
პირობიდან გამომდინარე, ხორბალს, რომელსაც X და K გენები აქვს, თეთრი ფერის მარცვალი უვითარდება (F_2 თაობაში მათი რაოდენობა 9/16-ია). მცენარეებს, რომელთაც K–xx და kkxx გენოტიპები აქვთ, ასევე თეთრი ფერის თესლი ექნებათ, რადგანაც წითელი შეფერილობის განმსაზღვრელი გენი (X) რეცესიულ მდგომარეობაშია. მათი რაოდენობა F_2 თაობაში, შესაბამისად, 3/16 და 1/16 იქნება.

როგორც ვხედავთ, თეთრთესლიანი მცენარეების რაოდენობა F_2 თაობაში 13/16-ის ტოლია და მხოლოდ 3/16-ს ექნება წითლად შეფერილი თესლი (გენოტიპები kkXX და kkXx), რადგანაც ამ შემთხვევაში წითელი ფერის განმსაზღვრელი გენი დომინანტურ მდგომარეობაშია, ხოლო გენი-სუპრესორი – რეცესიულ მდგომარეობაში.

დათიშვა 13:3 შეესაბამება.

განვიხილოთ რეცესიული ეპისტაზის მაგალითი.

რეცესიული ეპისტაზის დროს ერთი გენის რეცესიული ალელი თრგუნავს მეორე არაალელური დომინანტური გენის მოქმედებას, ხოლო დომინანტურ გენებს შორის კომპლემენტარული მოქმედება შეინიშნება.

მაგალითად, სელის A – ალელი ყვავილის გვირგვინის შეფერილობას განაპირობებს, aa ალელების არსებობისას, ყვავილი თეთრია. B გენი განაპირობებს გვირგვინის ცისფერ ფერს, bb ალელები – ვარდისფერს. გენი A საჭიროა პიგმენტის სინთეზისთვის, მის გარეშე სხვა შეფერილობები ვერ გამოვლინდება. მცენარეები, რომელთა გენოტიპებია A–B– ცისფერ ყვავილებს ივითარებს (დომინანტურ გენთა კომპლემენტარობა), Aabb, AAbb – ვარდისფერს, მაშინ, როცა a ალელები ჰომოზიგოტურ მდგომარეობაში თრგუნავენ როგორც ვარდისფერი, ისე ცისფერი შეფერილობის გამოვლენას: aaBB, aaBb, aabb.

ვარდისფერი (AAbb) და თეთრი (aaBB) მცენარეების შეჯვარებით F_1 თაობის ინდივიდებს (AaBb) – ცისფერი ყვავილები ექნებათ.

F_2 თაობაში მოხდება დათიშვა შეფარდებით 9:3:4.

A–B– – 9/16 – ცისფერი.
A– bb – 3/16 – ვარდისფერი
aaB– – 3/16 – თეთრი
aabb – 1/16 – თეთრი.
9 ცისფერი: 3 ვარდისფერი: 4 თეთრი.

ნატა ბიჭიკაშვილი
ბიოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი,
ბაქსვუდის საერთაშორისო სკოლა

მეთოდიკა

მათემატიკის პედაგოგთა დასახმარებლად

ვაგრძელებთ სავარჯიშოების განხილვას მიმდევრობისა და ფუნქციის ზღვრის გამოთვლის შესახებ

მაგალითი 1.

ვიპოვოთ $\lim\limits_{x\to 2}\dfrac{\sqrt{6-x}-x}{x-2}$

ამოხსნა. წილადის მრიცხველი და მნიშვნელი გავამრავლოთ $\sqrt{6-x}+x$ გამოსახულებაზე. მივიღებთ:

$$\lim_{x\to 2}\frac{\sqrt{6-x}-x}{x-2}=\lim_{x\to 2}\frac{\left(\sqrt{6-x}-x\right)\left(\sqrt{6-x}+x\right)}{(x-2)\left(\sqrt{6-x}+x\right)}=\lim_{x\to 2}\frac{6-x-x^2}{(x-2)\left(\sqrt{6-x}+x\right)}=$$

$$=\lim_{x\to 2}\frac{(2-x)(x+3)}{(x-2)\left(\sqrt{6-x}+x\right)}=-\lim_{x\to 2}\frac{x+3}{\sqrt{6-x}+x}=-\frac{5}{4}$$

მაგალითი 2.

ვიპოვოთ $\lim\limits_{x\to 5}\dfrac{\sqrt{x-1}-2}{x-\sqrt{4x+5}}$.

ამოხსნა.

$$\lim_{x\to 5}\frac{\sqrt{x-1}-2}{x-\sqrt{4x+5}}=\lim_{x\to 5}\frac{\left(\sqrt{x-1}-2\right)\left(\sqrt{x-1}+2\right)\left(x+\sqrt{4x+5}\right)}{\left(x-\sqrt{4x+5}\right)\left(x+\sqrt{4x+5}\right)\left(\sqrt{x-1}+2\right)}=\lim_{x\to 5}\frac{(x-1-4)\left(x+\sqrt{4x+5}\right)}{\left(x^2-4x-5\right)\left(\sqrt{x-1}+2\right)}=$$

$$=\lim_{x\to 5}\frac{(x-5)\left(x+\sqrt{4x+5}\right)}{(x+1)(x-5)\left(\sqrt{x-1}+2\right)}=\lim_{x\to 5}\frac{x+\sqrt{4x+5}}{(x+1)\left(\sqrt{x-1}+2\right)}=\frac{5+5}{6\cdot 4}=\frac{5}{12}$$

მაგალითი 3.

ვიპოვოთ $\lim\limits_{x\to 0}\dfrac{x}{\sqrt[3]{1+x}-1}$.

ამოხსნა.

$$\lim_{x\to 0}\frac{x}{\sqrt[3]{1+x}-1}=\lim_{x\to 0}\frac{x\left(\sqrt[3]{(1+x)^2}+\sqrt[3]{1+x}+1\right)}{\left(\sqrt[3]{1+x}-1\right)\left(\left(\sqrt[3]{(1+x)^2}+\sqrt[3]{1+x}+1\right)\right.}=\lim_{x\to 0}\frac{x\left(\sqrt[3]{(1+x)^2}+\sqrt[3]{1+x}+1\right)}{1+x-1}$$

$$=\lim_{x\to 0}\left(\sqrt[3]{(1+x)^2}+\sqrt[3]{1+x}+1\right)=3$$

მაგალითი 4.

ვიპოვოთ $\lim\limits_{n\to\infty}\dfrac{2+4+6+\ldots+2n}{1+3+5+\ldots+(2n+1)}$.

ამოხსნა. წილადის მრიცხველი არის არითმეტიკული პროგრესიის n წევრის ჯამი, ხოლო მნიშვნელი კი მეორე არითმეტიკული პროგრესიის $n+1$ წევრის ჯამი. თუ ვისარგებლებთ ცნობილი ფორმულით, მივიღებთ:

$$\lim_{n\to\infty}\frac{2+4+6+\ldots+2n}{1+3+5+\ldots+(2n+1)}=\lim_{n\to\infty}\frac{\frac{2+2n}{2}n}{\frac{(1+2n+1)(n+1)}{2}}=\lim_{n\to\infty}\frac{n}{n+1}=\lim_{n\to\infty}\frac{1}{1+\frac{1}{n}}=\frac{1}{1}=1$$

მაგალითი 5.

ვიპოვოთ $\lim\limits_{n\to\infty}\dfrac{(n+5)!-(n+4)!}{(n+6)!}$.

ამოხსნა.

$$\lim_{n\to\infty}\frac{(n+5)!-(n+4)!}{(n+6)!}=\lim_{n\to\infty}\frac{(n+4)!((n+5-1)}{(n+4)!((n+5)(n+6)}=$$

$$=\lim_{n\to\infty}\frac{n+4}{(n+5)(n+6)}=\lim_{n\to\infty}\frac{\frac{1}{n}+\frac{4}{n^2}}{\left(1+\frac{5}{n}\right)\left(1+\frac{6}{n}\right)}=\frac{0+0}{(1+0)(1+0)}=0$$

მაგალითი 6.

ვიპოვოთ $\lim\limits_{n\to\infty}\dfrac{5x^4+1}{\sqrt{x^8+2x-3}}$.

ამოხსნა.

$$\lim_{n\to\infty}\frac{5x^4+1}{\sqrt{x^8+2x-3}}=\lim_{n\to\infty}\frac{5+\frac{1}{x^4}}{\sqrt{1+\frac{2}{x^7}-\frac{3}{x^8}}}=\frac{5}{1}=5$$

მაგალითი 7.

ვიპოვოთ $\lim\limits_{n\to\infty}\left(\sqrt{n^2+8n+3}-\sqrt{n^2+4n+3}\right)$.

ამოხსნა.

$$\lim_{n\to\infty}\left(\sqrt{n^2+8n+3}-\sqrt{n^2+4n+3}\right)=\lim_{n\to\infty}\frac{\left(\sqrt{n^2+8n+3}-\sqrt{n^2+4n+3}\right)\left(\sqrt{n^2+8n+3}+\sqrt{n^2+4n+3}\right)}{\left(\sqrt{n^2+8n+3}+\sqrt{n^2+4n+3}\right)}=$$

$$=\lim_{x\to\infty}\frac{n^2+8n+3-n^2-4n-3}{\left(\sqrt{n^2+8n+3}+\sqrt{n^2+4n+3}\right)}=\lim_{x\to\infty}\frac{4n}{\left(\sqrt{n^2+8n+3}+\sqrt{n^2+4n+3}\right)}=$$

$$=\lim_{x\to\infty}\frac{4}{\left(\sqrt{1+\frac{8}{n}+\frac{3}{n^2}}+\sqrt{1+\frac{4}{n}+\frac{3}{n^2}}\right)}=\frac{4}{2}=2$$

მაგალითი 8.

ვიპოვოთ მინიმალური სიგრძის მონაკვეთი, რომელსაც ეკუთვნის $a_n=\dfrac{7\sqrt{n}+1}{\sqrt{n}-3}$ მიმდევრობის ყველა წევრი. იპოვეთ ამ შუალედის სიგრძე

ამოხსნა.

$$a_1=\frac{7+1}{1-3}=-4\qquad \lim_{n\to\infty}a_n=\lim_{n\to\infty}\frac{7\sqrt{n}+1}{\sqrt{n}-3}=\lim_{n\to\infty}\frac{7+\frac{1}{\sqrt{n}}}{1-\frac{3}{\sqrt{n}}}=\frac{7}{1}=7$$

მიმდევრობის ყველა წევრი მოთავსებულია **[-4;7]** შუალედში. ამ შუალედის სიგრძეა $b-a=7-(-4)=11$.

მაგალითი 9.

$x_n=\dfrac{n+1}{3n-10}$ მიმდევრობის ზღვარი, როცა **n→∞,** არის **1/3**. ვისარგებლოთ ზღვრის განმარტებით და დავადგინოთ n-ის რა მნიშვნელობიდან დაწყებული შესრულდება ტოლობა: $\left|x_n-\frac{1}{3}\right|<0.1$

ამოხსნა.

$$\left|x_n-\frac{1}{3}\right|<0.1\Leftrightarrow\left|\frac{n+2}{3n-10}-\frac{1}{3}\right|<0.1\Leftrightarrow\left|\frac{3n+6-3n+10}{3(3n-10)}\right|<0.1\Leftrightarrow$$

$$\Leftrightarrow\left|\frac{16}{3(3n-10)}\right|<0.1\Leftrightarrow|9n-30|>160\Leftrightarrow\left[\begin{array}{l}9n-30>160\\9n-30<-160\end{array}\right.\Leftrightarrow\left[\begin{array}{l}n>21\frac{1}{9}\\n<-14\frac{4}{9}\end{array}\right.$$

რადგან **n∈N**, ამიტომ მოცემული უტოლობა შესრულდება **n=22** ნომრიდან დაწყებული.

მაგალითი 10.

45°-იანი კუთხის გვერდზე წვეროდან **a=63(√2-1)**სმ მანძილზე აღებულია წერტილი (იხ. ნახაზი). ამ წერტილიდან მეორე გვერდზე დაშვებულია პერპენდიკულარი, ამ პერპენდიკულარის ფუძიდან დაშვებულია ახალი პერპენდიკულარი პირველ გვერდზე და ა.შ. **n**-ჯერ. იპოვეთ ამ პერპენდიკულარების სიგრძეების ჯამის ზღვარი, როცა **n→∞.**

ამოხსნა.



პირველი პერპენდიკულარის **BC=asin45°**

მეორე პერპენდიკულარის **DC=BCsin45°=asin²45°**

მესამე პერპენდიკულარის **DE=DCsin45°=asin³45°** და ა.შ.

პერპენდიკულარების სიგრძეების ჯამის ზღვარი იქნება:

$$S=\lim_{n\to\infty}(a\sin 45^o+a\sin^2 45^o+a\sin^3 45^o+\ldots+a\sin^n 45^o)$$

ჯამის ზღვარი, როცა **n→∞**, გვაძლევს უსასრულოდ კლებადი გეომეტრიული პროგრესიის წევრთა ჯამს. ამ პროგრესიის პირველი წევრია **a₁=asin45°**, ხოლო მნიშვნელი **q=sin45°.** თუ ვისარგებლებთ ცნობილი ფორმულით, მივიღებთ:

$$S=\frac{a_1}{1-q}=\frac{a\sin 45^0}{1-\sin 45^0}=\frac{63\left(\sqrt{2}-1\right)\frac{\sqrt{2}}{2}}{1-\frac{\sqrt{2}}{2}}=\frac{63\left(\sqrt{2}-1\right)\sqrt{2}}{\sqrt{2}\left(\sqrt{2}-1\right)}=63.$$

მაია თევდორაშვილი

აკად. ილია ვეკუას სახ. ფიზიკა-მათემატიკის №42 საჯარო სკოლის მათემატიკის მასწავლებელი

საგანმანათლებლო კერა

კულტურული მაჯისცემის ყველაზე ღრმა კვალი

„ქვემო ქართლი... აღმოსავლეთ საქართველოს იმ კუთხედ გვევლინებოდა, სადაც ქართის კულტურულ მაჯისცემას ყველაზე ღრმა კვალი უნდა დაეტოვებინა... ქართის კულტურის აკვანი აქ დაირწა... ქვემო ქართლი არის არა მარტო ქრისტიანული (და ფეოდალური) საქართველოს მოწინავე მხარე, არამედ ქვემო ქართლშია სათავე აღმოსავლეთ საქართველოს უძველესი კულტურისა (ქართის კულტურისა)“.

ნიკო ბერძენიშვილი



ეკატერინენფელდი. 1941 წელი

ბოლნისი – ისტორიული ქვემო ქართლის შემადგენელი ნაწილი ცნობილია არა მარტო გმირული წარსულით, განსაცვიფრებელი ხუროთმოძღვრებით, მრავალსაუკუნოვანი ეპიგრაფიკული წარწერებით თუ ლიტერატურული შედევრებით, არამედ იმითაც, რომ ეროვნული განათლების ერთ-ერთ უძველეს კერადაა მიჩნეული საქართველოს მატიანეში.

ქვემო ქართლის როლი განსაკუთრებით გაიზარდა საქართველოში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების შემდეგ. აკადემიკოსი კორნელი კეკელიძე ამის შესახებ წერდა: „ამ რეგიონში (ქვემო ქართლი) ყველაზე ადრე შემოვიდა ქრისტიანული კულტურა, ამიტომ აქ ჩაეყარა საფუძველი ჩვენს მწერლობას. ამ რეგიონმა ჩაიგდო ხელში კულტურული ჰეგემონია“.

ქრისტიანულმა რელიგიამ ხელი შეუწყო ქართველი ხალხის სარწმუნოებრივი დროშის ქვეშ გაერთიანებას. ამასთან, ხელსაყრელი პირობები შეიქმნა სასოფლო-სამეურნეო და ხელოსნური წარმოების, ტექნიკის, ვაჭრობის, ხელოვნების განვითარებისათვის. ცხადია, განათლების საქმეც ხელთ იპყრო ქრისტიანულმა ეკლესიამ.

ძველი ქართული კულტურის (ლიტერატურის, ხელოვნების, ფილოსოფიის და სხვ.) განვითარებას, უპირველეს ყოვლისა, ხელს უწყობდა სკოლა, რომელიც ადრექრისტიანული პერიოდიდანვე არსებობდა ეკლესია-მონასტრებთან. ეს იყო სასულიერო აღზრდა-განათლების უმნიშვნელოვანესი კერა.

როგორც აკადემიკოსი კორნელი კეკელიძე აღნიშნავს, ჩვენში ქრისტიანობის გავრცელების პერიოდში გაბატონებული იყო ნიზიბინის (ქალაქი ჩრდილოეთ მესოპოტამიაში) სკოლა. ამ სკოლისათვის დამახასიათებელი იყო პრაქტიციზმი და მთავარ საგნებად ითვლებოდა ეგზეტიკა (ბიბლიური ტექსტების შესწავლა), ჰომილეტიკა (ეკლესიაში საჯაროდ სწავლა-მოძღვრების წარმოება), ლიტურგიკა (ღვთისმსახურების შესრულება და საეკლესიო გალობა).

საეკლესიო სკოლების მთავარი ღირსება ის იყო, რომ ქართული წერა-კითხვის ხალხში გავრცელებას ემსახურებოდა, თუმცა მათი ძირითადი დანიშნულება რელიგიური წიგნების შესაქმნელად სასულიერო პირთა მომზადება იყო. სამონასტრო სკოლა ამზადებდა არა მარტო ღვთისმსახურთ, არამედ მთარგმნელებს, გადამწერთ, მკაზმავებსა და სხვ. წიგნის შემქმნელებს, გარდა ღვთისმსახურებისა, ასწავლიდნენ გრამატიკასაც, რაც აუცილებელი იყო სწორი წერისა და საღვთო წიგნების უკეთ გაგებისათვის. ამავე სკოლებში მოსწავლეები შრომით ჩვევებსაც ეუფლებოდნენ.

ისტორიულ მიწაზე საკულტო ნაგებობების სიმრავლე, ეპიგრაფიკული წარწერების დახვეწილი სტილი და ბარელიეფური ხელოვნების მაღალი დონე იმის მაჩვენებელია, რომ აქ დიდი ყურადღება ექცეოდა საფუძვლიანი განათლების მიღებას. მნიშვნელოვან კულტურულ ცენტრად უნდა ვიგულისხმოთ ბოლნისის სიონი, რომელიც ერთ-ერთი ყველაზე ადრინდელი და ბრწყინვალე არქიტექტურული ძეგლია ქრისტიანული ეპოქისა. საქართველოში არც თუ ისე ბევრია ძეგლი, რომელმაც ამდენი ეპიგრაფიკული მასალა შემოგვინახა. ბოლნისის ტაძარზე სხვადასხვა დროის, შინაარსისა და დანიშნულების ოცზე მეტი წარწერაა შემორჩენილი. ეს წარწერები ფასდაუდებელია არა მარტო თვით ბოლნისის სიონისთვის – მისი თარიღის დაზუსტებისთვის, მისი ისტორიისთვის, არამედ საერთოდ ქართული კულტურის ისტორიის, ქართული ენის, ქართული პალეოგრაფიის განვითარების თვალსაზრისითაც. პირველ რიგში, სრულიად განსაკუთრებული მნიშვნელობა ამ წარწერებისა ის არის, რომ ესაა საქართველოს ტერიტორიაზე დღემდე აღმოჩენილი დამწერლობის ყველაზე ძველი ნიმუშები. ბოლნისის სიონის წარწერების მიხედვით ირკვევა, რომ ტაძარი აგებულია 478-493 წწ. და რომ მშენებლობის ინიციატორი და მოთავე იყო დავით ეპისკოპოსი. ეს ის დავითია, რომელმაც მონაწილეობა მიიღო დვინში, 506 წელს ჩატარებული საქართველოს, სომხეთისა და ალბანეთის საეკლესიო კრებაში. იმ 23 ქართველ ეპისკოპოსს შორის, რომელთაც ხელი მოაწერეს კრების დადგენილებას, დავით ეპისკოპოსი რიგით მეხუთეა. ეს სია, უთუოდ, იერარქიულ რიგს იცავს და საგულისხმოა, რომ აქ ბოლნელი ეპისკოპოსისა და მისი ეპარქიის მოწინავეობაა ასახული.

ბოლნისის სიონის როლი განსაკუთრებით მას შემდეგ გაიზარდა, რაც ვახტანგ გორგასალმა იქ საეპისკოპოსო კათედრა დააარსა, სადაც თავიდანვე გაიშალა სამწერლო და პედაგოგიური საქმიანობა. იმ მამათა შორის, რომელთაც ბოლნისის სიონში უმოღვაწიათ, გამორჩეული ადგილი უკავია იოანე ბოლნელს. მას ეპისკოპოსის სასულიერო ხარისხი ჰქონდა და X საუკუნის დასასრულსა და XI საუკუნის დასაწყისში მსახურობდა ბოლნისის სიონში, რისთვისაც, დადგენილი წესის მიხედვით, ბოლნელი, ანუ იოანე ბოლნისელი ეწოდა.

იოანე ბოლნელი თავისი დროის დიდი ღვთისმოსავი და მწერალი იყო, ანტონ კათალიკოსი მას ბრძენსა და ფილოსოფოსს უწოდებდა. იგი ეწეოდა პედაგოგიურ საქმიანობას, ბოლნისის სიონის ირგვლივ მდებარე სოფლების ქართველ ახალგაზრდობას ღვთისმეტყველებასა და წერა-კითხვას ასწავლიდა; წერდა ორიგინალურ ქადაგებებს და ყრმათათვის გასაგებ ენაზე აწარმოებდა სახარების ტექსტობრივ განმარტებებს. თავისსავე ქადაგებებს იოანე ბოლნელი დიდი ოსტატობით კითხულობდა სიონის ტაძარში და ბოლნისის სხვა ეკლესიებში. იოანე ბოლნელის ჰომლეტიკურ-ეგზეტიკური თხზულებანი ალეგორიული, მორალური და ფილოლოგიური ხასიათისაა. მისი სწავლება, ძირითადად, მიმართული იყო მართლმადიდებლური სარწმუნოების დაცვის, განმტკიცებისა და გავრცელებისაკენ, ასევე, ზნეობისა და მორალურ-ეთიკური ნორმების გაჯანსაღებისაკენ. მისმა ცნობილმა ქადაგებამ „ღვინისმსმელთა და მომთვრალეთათვის“ გავლენა იქონია სულხან-საბა ორბელიანის შესაბამის ქადაგებაზე.

1019 წელს იოანე ბოლნელი ათონის ივერთა მონასტერში გადასულა, ერთხანს იქ უმოღვაწია, შემდეგ კვლავ უკან, ბოლნისში დაბრუნებულა და იქვე გარდაცვლილა.

X საუკუნიდან ქართველები ინტენსიურ გასვლას იწყებენ მცირე აზიისა და ბიზანტიის სკოლებში, ხოლო მოგვიანებთ – XII საუკუნეში, საქართველოში, აარსებენ უმაღლეს სასწავლებლებს, გელათისა და იყალთოს აკადემიებს.

XII საუკუნის საქართველოში უმაღლესი განათლების კერების არსებობა იმაზე მიუთითებს, რომ ჩვენში ეკლესია-მონასტრებთან დაწყებითი და საშუალო ტიპის სასწავლებლებიც იარსებებდა.

XIII საუკუნეში ჯერ ხვარაზმელთა, შემდგომ კი მონღოლთა შემოსევამ დასცა საქართველოს კულტურისა და განათლების დონე. ამ მხრივ, განსაკუთრებით არ გაუმართლა ქვემო ქართლს, ეს ტერიტორია დამპყრობელთა თარეშის არეალად იქცა.

XIII-XVI საუკუნეები, საქართველოში, კულტურისა და განათლების დაქვეითებით ხასიათდება. მონასტრებში, უმეტესწილად, კალიგრაფიული მუშაობა წარმოებდა და, ძირითადად, გადამწერი ოსტატები მზადდებოდა.

XVII საუკუნიდან, საქართველოში, კულტურისა და განათლების საქმის გამოცოცხლება იგრძნობა. როდესაც XVII საუკუნის საქართველოზე ვსაუბრობთ, არ შეიძლება გვერდი ავუაროთ ისეთ დიდ პედაგოგსა და მრავალმხრივ საზოგადო მოღვაწეს, როგორიც სულხან-საბა ორბელიანი იყო. იგი დაიბადა 1658 წლის 4 ნოემბერს, სოფელ ტანძიაში, დღევანდელი ბოლნისის რაიონი. სულხანის მამა ვახტანგი, ქართლის მეფის, ვახტანგ V-ის მდივანბეგი და ცოლისძმა იყო. დედა – თამარი, ბახტრიონის აჯანყების ერთ-ერთი იდეური სულისჩამდგმელის, ზაალ არაგვის ერისთავის ასული. სულხანს ჰყოლია შვიდი ძმა და სამი და. მისი მამიდაშვილები იყვნენ მომავალი მეფეები – არჩილი და გიორგი XI. სწორედ მათ შორის იზრდებოდა იგი იმჟამინდელ „უმაღლეს სკოლაში“ – მუხრანელ ბაგრატიონთა ოჯახში. ნიჭიერი ახალგაზრდა საფუძვლიანად დაეუფლა სიბრძნისმეტყველებას, ღვთისმეტყველებას, ფილოლოგიურ დარგებს. ქართული ენის ბრწყინვალედ შეთვისების შემდეგ საფუძვლიანად შეისწავლა სპარსული, თურქული, ბერძნული, ლათინური, არაბული, სომხური, ხოლო მოგვიანებით – იტალიური და რუსული.

დიდი ერუდიციისა და განათლების გამო იგი მიიწვიეს გიორგი XI-ის ძმისწულის, ვახტანგ ლევანის ძის (შემდეგში – მეფე ვახტანგ VI) და მისი მეუღლის, რუსუდანის აღსაზრდელად. *„ამ თავადმა აღზარდა ვახტანგი და მისი სახლობა. ამისთვის ისეთ პატივს სცემენ და ისე უყვართ, როგორც საკუთარი მამა, აგრეთვე მთელ საქართველოს მამად მიაჩნია იგი,“* – წერდა კათოლიკე მისიონერი ჟან რიშარი, რომელთან ერთადაც სულხან-საბამ შემდეგ ევროპაში იმოგზაურა.

სულხანი თავისი მამიდაშვილის, გიორგი XI-ის პოლიტიკური გუნდის აქტიური წევრი იყო. ამ მამაცი და ნიჭიერი მეფის ირანს გაწვევის შემდეგ, პოლიტიკური ცხოვრების „ღელვასა და შფოთს“ ჩამოშორდა და 1698 წელს ბერად აღიკვეცა დავით-გარეჯის მონასტერში, სადაც მას სასულიერო სახელად საბა უწოდეს.

ბერად აღკვეცამდე სულხანს უკვე დაწერილი ჰქონდა „სიტყვის კონა“ – ბრწყინვალე ქართული ლექსიკონი, პოეტურად ხორცშესხმული და განზავებული.

12 წელი გაატარა სულხან-საბამ დავით-გარეჯის იოანე ნათლისმცემლის ეკლესიაში, ჯერ რიგით ბერად, მერე კი ამავე ეკლესიის მოძღვრად. საბა ხშირად ქადაგებდა თავისი სამწყსოს წინაშე. მერე ამ ქადაგებებს (სულ – 56 ქადაგება) წერილობითი სახე მისცა და „სწავლანი“ უწოდა. ეს არის ენციკლოპედიური ხასიათის ნაშრომი, რომელშიც ერთმანეთშია შერწყმული ღვთისმეტყველება, პედაგოგიკა, პოეზია, ისტორია, ფოლკლორისტიკა და ფსიქოლოგიაც კი.

1703 წელს სულხან-საბა ორბელიანი დავით-გარეჯის მონასტერს ტოვებს. მისი წამოსვლა ვახტანგ VI-ის ქართლში „ჯანიშინად“ დანიშვნას ემთხვევა. ამის შემდეგ, შეიძლება ითქვას, იგი თავის გაზრდილ მეფეს გვერდიდან აღარ მოსცილებია.

1713-1716 წლებში სულხან-საბამ დიპლომატიური მისიით იმოგზაურა ევროპაში, თუმცა რიგი პოლიტიკური მიზეზების გამო მისი მისია უშედეგოდ დასრულდა. ამავე პერიოდში, გარკვეული მოსაზრებებით, კათოლიკური სარწმუნოება მიიღო. მიუხედავად ძნელბედობისა და ხშირი ადგილმონაცვლეობისა, სულხან-საბას არ შეუწყვეტია ნაყოფიერი სამწერლობო საქმიანობა. დავით-გარეჯის მონასტრიდან წამოსვლის შემდეგ დაწერა ქართული ლიტერატურის შედევრები: „სიბრძნე-სიცრუისა“, „მოგზაურობა ევროპაში“; თარგმნა „ქილილა და დამანა“

1724 წლის ივლისში, მეფე ვახტანგ VI, ოჯახთან ერთად, რუსეთს გაემგზავრა დახმარების სათხოვნელად. მეფის დიდ ამალაში იყო სულხან-საბა ორბელიანიც. 1725 წლის 26 იანვარს სულხან-საბა ორბელიანი მოსკოვში, არჩილ მეფის სასახლეში გარდაიცვალა. დაკრძალეს ვსესვიატსკოეში. „ერის მამად“ წოდებულ დიდ მოძღვარს და მამულიშვილს განსაკუთრებულ პატივს მიაგებენ ბოლნისელები. სოფელ ტანძიაში დაცულია ორბელიანთა საგვარეულო ეკლესია, ორბელიანთა სასახლის ნანგრევებზე აშენებულია სულხან-საბა ორბელიანის სახელობის მემორიალური მუზეუმი, სულხან-საბას სახელს ატარებს ბოლნისის რაიონის კულტურის სახლი, პირველი სკოლა და ქალაქის ცენტრალური ქუჩა, საბას ძეგლები დგას პირველი სკოლის და მუზეუმის ეზოში, აგრეთვე კულტურის სახლის წინ, დაწესებულია ყოველწლიური სახალხო დღესასწაული – „საბაობა“.

XVIII საუკუნის მეორე ნახევრიდან, საქართველოში, მშვიდობიანი ცხოვრებისა და ეკონომიკურ-კულტურული აღორძინებისათვის გაცილებით უკეთესი პირობები შეიქმნა. ამ პერიოდში, ქვეყანაში, სამეფო-სახელმწიფო სასწავლებლები არსდება და ამდენად სწავლა-აღზრდა ორგანიზებულ ხასიათს ღებულობს. ამ საქმის რეფორმატორებად და ინიციატორებად ერეკლე II და კათალიკოსი ანტონი გვევლინებიან. 1755 წლის იანვარში, თბილისში, ანჩისხატის ტაძრის ეზოში, დაარსდა თბილისის საღვთისმეტყველო-ფილოსოფიური სემინარია, რომლის რექტორად დაინიშნა იმდროისათვის ცნობილი ფილოსოფოსი ფილიპე ყაითმაზაშვილი. მას დოქტორის სახელით და „ზედმიწევნილ ფილოსოფოსად“ იხსენიებენ.

დევი ბერძენიშვილი ნაშრომში „დმანისისხევი“ წერს: აქ არ შეიძლება ერთხელ კიდევ არ მოგვაგონდეს აზნაურული საგვარეულო ყაითმაზაშვილებისა გეტისხევის ჭრეშიდან. მათი შთამომავალი უნდა იყოს XVIII საუკუნის II ნახევრის ცნობილი მოღვაწე ფილიპე ყაითმაზაშვილი. იგი ბევრს მუშაობდა ანტონ კათალიკოსთან, რომელსაც ის დაუმეგობრებია კიდეც. ფილიპე ანტონს უმზადებდა სომხური წყაროებიდან თარგმნილ მასალებს. მისი მეცნიერულ-მთარგმნელობითი ხელი ატყვია 21 კაპიტალურ

საგანმანათლებლო კერა

ფილოსოფიურ-თეოლოგიურ შრომას. ანტონ კათალიკოსის სიტყვით: *„მღვდელი ვინმე ნათესავით ერმანიანი (რომელ არს ჰაოსიანი), სახელით ფილიპე ყაითმაზაშვილი, გუარითაც აზნაური, იყო დიდ თავადთა ორბელიანთა სამთავროთაგანი“.* ე.ი. ის ყოფილა ტომით და წარმოშობით სომეხი, თან ქართველი აზნაური ორბელიანთა სამფლობელოდან, მაშასადამე, გაქართველებული სომეხი. თანახმად დოსითეოზ ნეკრესელისა, იგი ყოფილა *„ქართველთა ენისა, ქცევისათა ფრიად მეცნიერი“.*

ფილიპე ყაითმაზაშვილი მეფე ერეკლეს თბილისიდან თელავში გადაუყვანია და 1758 წელს გახსნილი საფილოსოფოსო-საღვთისმეტყველო სკოლის რექტორად დაუნიშნავს. ერეკლე II-ს ეს სკოლა საკუთარი ინიციატივით დაუარსებია და გარდა სასწავლო დანიშნულებისა, სხვა მიზნითაც გამოუყენებია – აქ მთარგმნელობითი მუშაობა გაუჩაღებიათ ფილიპე ყაითმაზაშვილის მეთაურობით. 1782 წელს თელავის ზემოაღნიშნული სკოლა სემინარიად გადაკეთდა.

თუ დევი ბერძენიშვილის ზემოთ მოყვანილ მოსაზრებას, ფილიპე ყაითმაზაშვილის სადაურობასთან დაკავშირებით, გავითვალისწინებთ და სულხან-საბა ორბელიანის დაბადების ადგილსაც გავიხსენებთ, ერთი ლოგიკური დასკვნის გამოტანა შეიძლება. სოფელი ტანძია და გეტისხევის სოფელი ჭრეში ერთმანეთისაგან სულ რაღაც ათიოდე კილომეტრში მდებარეობენ. პირველმა მათგანმა XVII საუკუნის მეორე ნახევრისა და XVIII საუკუნის დასაწყისის უდიდესი მოღვაწე მისცა საქართველოს, ხოლო მეორემ – XVIII საუკუნის მეორე ნახევრის უგანათლებულესი მწიგნობარი. ეს ფაქტი იძლევა საშუალებას, რომ ამ ტერიტორიაზე საკმაოდ ძლიერი, პირველდაწყებითი სკოლის არსებობა ვივარაუდოთ, საიდანაც ნიჭიერი ახალგაზრდები დედაქალაქში ან სასულიერო სასწავლებლებში მიჰყავდათ განათლების მისაღებად.

საერთოდ უნდა ითქვას, რომ ჩვენში საეკლესიო-სამონასტრო სკოლებმა, XIX საუკუნის დამდეგამდე, გარკვეული როლი შეასრულეს ცოდნის გავრცელების საქმეში. ასეთი სკოლები XIX საუკუნის დასაწყისშიც აგრძელებდნენ მუშაობას.

1801 წელს რუსეთის იმპერიამ საქართველოს ანექსია განახორციელა. რუსეთთან შეერთების მომენტში, წინა საუკუნეებთან შედარებით, ქართველი ხალხის განათლების დონე დაქვეითებული იყო, მაგრამ მან მაინც შეძლო შეენარჩუნებინა მდიდარი ტრადიციები. როგორც პროფესორი გ. თავზიშვილი წერს, *„აღსანიშნავია ანტონ II კათოლიკოსის პასუხი საქართველოს მთავარმართებელ კნორინგისადმი. 1801 წლის თებერვალში, შეკითხვაზე – „არის თუ არა (საქართველოს) ეპარქიაში სასწავლებლები და თუ არის – სად, რას ასწავლიან და ვინ ინახავს“, ანტონ II პასუხობს: „ბავშვებს ასწავლიან ქართლისა და კახეთის ყველა ეპარქიაში (დასავლეთ საქართველო მაშინ ჯერ კიდევ არ ყავდა დაპყრობილი რუსეთს) წერა-კითხვას და გალობას. ამ მოწაფეებს თავიანთ ოჯახებში ინახავენ“.* პროფესორი გ. თავზიშვილი ასკვნის, რომ *„ეს სკოლები, როგორც ანტონ II-ის პასუხიდან ჩანს, ელემენტარული წერა-კითხვის სკოლები იყო, მაგრამ მათ გარდა ეპარქიის ცენტრებსა და კათედრალურ ტაძრებთან არსებობდა საშუალო ტიპის სკოლებიც, რომლებშიაც ასწავლიდნენ რიტორიკას, გრამატიკას, ფილოსოფიას, ფიზიკას, ისტორიას, ღვთისმეტყველებას“.*

XVIII საუკუნის პირველი ნახევრის გამოჩენილი ქართველი გეოგრაფი, ისტორიკოსი და კარტოგრაფი ვახუშტი ბატონიშვილი (1696-1757), თავის თხზულებაში: „აღწერა

ბოლნისის პირველი სკოლა. 1950 წელი

აწინდელისა ქართლისა“ აღნიშნავს: *„...ამის დასავლით დის მდინარე ფოლადაური, გამოსდის ლელვარს და მოერთვის მდინარეს მაშავერს. ამას ზედა არს მცირე ქალაქი ბოლნისი. მას ზემორ ეკლესია დიდი, უგუმბათო, ბოლნისისა, რომელი აღაშენა მეფემან ფარსმან, და გორგასალ დასუა ეპისკოპოზი. შემდგომად შემუსრვილი აღაშენა დედოფალმან მარიამ. აწცა ზის ეპისკოპოზი მწყემსი აწინდელისა ქართლის სომხითისა“.*

როგორც ვხედავთ, XVIII საუკუნის პირველ ნახევარშიც და XIX საუკუნის დასაწყისშიც, ბოლნისის ეპარქიაში სწავლა-განათლებას ისეთივე ყურადღება ექცეოდა, როგორც დანარჩენ საქართველოში.

XVIII საუკუნის დასასრულსა და XIX საუკუნის დასაწყისში რუსეთმა დიდ წარმატებას მიაღწია თურქეთთან და ირანთან ომებში, რამაც მნიშვნელოვნად გააფართოვა მისი ტერიტორია. სწორედ ამ პერიოდში შევიდა მეფის რუსეთის შემადგენლობაში საქართველოც, რამაც ხელსაყრელი პირობები შეუქმნა დამპყრობელს ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის ასათვისებლად. რუსეთი მიზნად ისახავდა საქართველოს გადაქცევას ისეთ მხარედ, რომელიც პოლიტიკურად სანდო იქნებოდა, ხოლო ეკონომიკურად მომგებიანი. ამ მიზნის მიღწევას რუსეთი ცდილობდა სხვადასხვა საშუალებებით, რომელთა შორის უმთავრესი კოლონიზაცია იყო.

1817-1819 წლებში, გენერალ ერმოლოვის მთავარმართებლობის დროს, ამიერკავკასიაში სამხრეთ გერმანიიდან, ვიურტემბერგიდან და ბადენიდან ორგანიზებულად ჩამოასახლეს შვაბი კოლონისტები, რომლებმაც აქ რვა კოლონია შექმნეს:

1) მარიენფელდი (სართიჭალასთან);

2) თბილისის კოლონია (გარეუბანი კუკიაზე);

3) ალექსანდერსდორფი (დიდუბეში);

4) პეტერსდორფი (მარიენფელდთან);

5) ელიზავეტალი (სოფელი ასურეთი);

6) ეკატერინენფელდი (ქალაქი ბოლნისი);

7) ანენფელდი (შამქოში);

8) ელენენდორფი (განჯასთან).

გერმანელ კოლონისტთა თემი XIX-XX საუკუნეების საქართველოს საზოგადოების ერთ-ერთი ყველაზე შეძლებული, მონოლითური და საინტერესო ნაწილია. მათი სიძლიერე სამ ძირითად პრინციპს ეყრდნობოდა: ეკლესიას, სკოლას და საზოგადოებრივ გაერთიანებას.

ყველაზე დაწინაურებული კოლონია იყო ეკატერინენფელდი, სადაც თავი მოიყარა სექტანტთა ძირითადმა მასამ. ამავე კოლონიაში დამკვიდრდა გერმანელ სექტანტთა ხელმძღვანელობა და უფრო შეძლებული ნაწილი. ეკატერინენფელდი, 100 წელზე მეტი ხნის განმავლობაში, წამყვან როლს ასრულებდა ამიერკავკასიის გერმანელ კოლონისტთა ცხოვრებაში.

ჩამოსახლების პირველი წლებიდანვე, კოლონისტები მთავრობის დიდი და ყოველმხრივი დახმარებით სარგებლობდნენ, ისინი სტატუსით აზატ გლეხებს უთანაბრდებოდნენ. საქართველოში დღემდე სამაგალითოდაა მიჩნეული გერმანელი კოლონისტების მიერ გამართული დასახლებები და მეურნეობა. პირველი საზოგადოებრივი ნაგებობები, რაც ამ ნიჭიერმა და შრომისმოყვარე ადამიანებმა ააშენეს ბოლნისში, ჩამოსახლებიდან ათი წლის შემდეგ, ეს იყო: ეკლესია (კირხე), წისქვილი და სკოლა. ეკლესია – სულისა და ღვთის სადიდებლად, წისქვილი – სხეულის საზრდოდ და სკოლა – გონების საწრთვნელად, რაც ჰარმონიულად განვითარებული გერმანელის აღზრდას გულისხმობდა.

ამიერკავკასიის გერმანულ კოლონიებში მოწყობილი სკოლები არსებობდა ლუთერანულ ეკლესიასთან და იმყოფებოდა ადგილობრივი პასტორის უშუალო მეთვალყურეობის ქვეშ. სხვადასხვა კოლონიის სკოლებში სწავლის ხანგრძლივობა და სასწავლო პროგრამები განსხვავდებოდა ერთმანეთისაგან. სასწავლებლებს თითო მასწავლებელი ჰყავდა, ასწავლიდნენ ზოგად საგნებს. საღვთო სჯულს პასტორი ასწავლიდა.



ეკატერინენფელდის სიმბოლო, ლუთერანული ტაძარი.

1832 წლის ამიერკავკასიის გერმანული კოლონიების სინოდის ყრილობაზე მიიღეს გადაწყვეტილება, მოეხდინათ სასწავლებლების რეორგანიზაცია იმ მიზნით, რომ ყველა სკოლას ერთი და იგივე პროგრამა ჰქონოდა. გერმანული კოლონიების სკოლებში კლასთა რაოდენობა სხვადასხვა იყო და, პერიოდების მიხედვით, 4-დან 8-მდე აღწევდა. სწავლა იწყებოდა პირველ სექტემბერს და გრძელდებოდა მაისის შუა რიცხვებამდე. სწავლისგან თავისუფალ დროს ბავშვები გაჰყავდათ ყანებსა და ბაღ-ვენახებში, სადაც სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებს ეცნობოდნენ. 1834 წელს, ეკატერინენფელდის სკოლაში სწავლობდა 31 ვაჟი და 39 გოგონა, რომელთაც ერთი მასწავლებელი ასწავლიდა.

სასწავლებლები მოთავსებული იყო ქვით ნაგებ ფართო, ნათელ შენობებში, რომლებიც ძირითადად ხაზინის ხარჯზე იყო აგებული. სკოლის შენობაშივე განთავსებული იყო ბინა მასწავლებლისათვის, ეზოში კი – ყველა დამხმარე ნაგებობა და მიწის ნაკვეთი. მასწავლებელი კოლონისტებს შორის დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა და პასტორის შემდეგ ყველაზე საპატიო პიროვნებად ითვლებოდა. დროგამოშვებით სკოლიდან ერთ-ორ საუკეთესო მოსწავლეს გზავნიდნენ საშუალო სასულიერო სასწავლებლებში (თბილისში, სარაპეტში, ხოლო მოგვიანებით – გერმანიაშიც). ეს კეთდებოდა იმ მიზნით, რომ მასწავლებლის მიერ რაიმე მიზეზით სკოლის დატოვების შემთხვევაში, მუდამ ჰყოლოდათ შემცვლელი ადგილობრივი კადრი. კოლონიებში, სადაც მოსწავლეთა რაოდენობა დიდი იყო, მასწავლებელს უნიშნავდნენ მოადგილეს. ამასთანავე, მასწავლებელი კოლონიებში ითვლებოდა ე.წ. „კისტერადაც“, ე.ი. პასტორის მოადგილედ. მოგვიანებით, გერმანული კოლონიების სკოლებში გაჩნდა 4-5 მასწავლებელი. მათი ხელფასი დამოკიდებული იყო მოსწავლეთა რაოდენობაზე, კოლონიის შეძლებაზე, მასწავლებელთა მიერ დაკავებულ თანამდებობაზე და მერყეობდა 300-დან 1700 მანეთამდე წელიწადში.

XIX საუკუნის 70-იან წლებამდე, ამიერკავკასიის გერმანულ სკოლებში, სწავლა მხოლოდ გერმანულ ენაზე მიმდინარეობდა. სხვა ენებს ცალკე საგნის სახითაც კი არ გადიოდნენ.

1869 წელს ამიერკავკასიის გერმანულ კოლონიებში იმოგზაურა სახელმწიფო ქონებათა მთავარი სამმართველოს უფროსმა, გენერალმა მ. ასტაფეევმა. მან განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია კოლონისტების მიერ რუსული ენის სუსტ ცოდნას, მაშინ როდესაც მათი დიდი ნაწილი შედარებით უკეთესად ფლობდა ქართულ, სომხურ და აზარბაიჯანულ ენებს. ამის შემდეგ გერმანელებმა სკოლებში რუსულის სწავლება შემოიღეს.

1900 წელს სახალხო განათლების სამინისტროსთან არსებული საგანგებო კომისიის მიერ შემუშავდა რუსეთში მცხოვრებ უცხოელთა დაწყებითი განათლების მოწყობის წესდების ახალი პროექტი, რომელიც ადგენდა, რომ საჭირო იყო ერთი მასწავლებელი არა უმეტეს 60 მოსწავლეზე. ამავე წესდებით, კოლონისტთა დაწყებით სკოლებში სავალდებულოდ ითვლებოდა შემდეგი საგნები: საღვთო სჯული, მშობლიური (გერმანული) ენა, რუსული ენა, არითმეტიკა, ისტორია, გეოგრაფია, მუსიკა და სიმღერა, ტანვარჯიში. ამ წესდების მიხედვით იყო მოწყობილი ამიერკავკასიის გერმანული სასწავლებლები საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე.

1921 წელს ეკატერინენფელდს სახელი გადაერქვა და დაერქვა ლუქსემბურგი (რევოლუციონერ როზა ლუქსემბურგის პატივსაცემად).

1941 წელს ბოლნისის გერმანულ კოლონიას დიდი ტრაგედია დაატყდა თავს. უმაღლესი მთავარსარდლის, სტალინის ბრძანებით, 347 ოჯახი, 24 საათში, დედაწულიანად აჰყარეს და ყაზახეთში გადაასახლეს. დეპორტაცია არ შეეხო მხოლოდ შერეულ ოჯახებს. ამ ვანდალიზმის ოფიციალურ მიზეზად ზურგის უსაფრთხოება დასახელდა. გერმანულმა სკოლამ არსებობა შეწყვიტა.

ლუქსემბურგიდან გერმანელთა დეპორტაციისთანავე, იმავე უმაღლესი მთავარსარდლის ბრძანებით, ინტენსიურად დაიწყო საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან ქართველთა ჩამოსახლება. დასავლეთ საქართველოდან ბოლნისისაკენ დაიძრნენ მრავალსულიანი ოჯახები, რომელთაც ქვემო ქართლის ამ ულამაზეს კუთხეში უნდა აეყვავებინათ ქართული კულტურა, ხელოვნება და განათლება.

გერმანელთა მიერ აშენებული სკოლა, რომელიც ახლანდელი სპორტსკოლის გვერდით მდებარეობდა (ამ შენობის ადგილზე სპორტული მოედანია, ხოლო სპორტსკოლა გუმბათმონგრეულ კირხეშია განთავსებული), ახალმოსახლე ოჯახების ქართველი ახალგაზრდებით შეივსო. მისაღები კონტინგენტის მრავალფეროვნების გამო კომპლექტდებოდა თითქმის ყველა ჯგუფი – პირველიდან მეთერთმეტე კლასამდე. ეს იყო 1941-42 სასწავლო წლის გვიანი შემოდგომა. ბოლნისში ქართველთა ჩამოსახლების ხანგრძლივი პროცესის კვალდაკვალ სასკოლო კონტინგენტის ზრდაც გრძელდებოდა, რამაც დღის წესრიგში დააყენა ახალი, ტევადი, კეთილმოწყობილი და კაპიტალური სკოლის აშენების საკითხი.

1943 წელს ლუქსემბურგს კვლავ გამოუცვალეს სახელი და დაბა ბოლნისი უწოდეს, ხოლო 1967 წლის 31 დეკემბრიდან ქალაქის სტატუსი მიენიჭა.

1950 წელს სკოლა გადავიდა ახალ შენობაში და ბოლნისის სულხან-საბა ორბელიანის სახელობის პირველი საშუალო სკოლა ეწოდა. საბჭოთა მმართველობის პერიოდში, ქალაქ ბოლნისსა და მთლიანად რაიონში, ფუნქციონირებდა 75 ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა, მათ შორის 21 საშუალო და 9 საღამოს სკოლა, აგრეთვე სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმი და პროფტექნიკური სასწავლებლები.

დღეის მდგომარეობით, ბოლნისის რაიონში ფუნქციონირებს 35 სკოლა, ამათგან, 33 საჯარო სკოლაა, მათ შორის – 4 საბაზო; გარდა ამისა, 1 კერძო საშუალო სკოლა „დავითიანი“ და ერთიც, წმ. იოანე ბოლნელის სასულიერო სკოლა.

გურამ რეხვიაშვილი
ბოლნისის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ფონდების მთავარი მცველი

XX საუკუნის პორტრეტები

დინასტია, რომელმაც ხელოვნებაში ეპოქა შექმნა

პირველი გვერდიდან

– ქალბატონო ცისკარ, თქვენ ბალანჩივაძეების ცნობილი გვარისა და ოჯახის ერთ-ერთი საპატიო წარმომადგენელი ბრძანდებით, აღიზარდეთ ხელოვნებაზე უზომოდ შეყვარებული ადამიანების გარემოცვაში. ბუნებრივია, რომ პროფესიად ბალერინობა აირჩიეთ. გვიამბეთ თქვენი ცხოვრებისა და სასცენო მოღვაწეობის შესახებ.

დავიბადე თბილისში, ცნობილი კომპოზიტორის ანდრია ბალანჩივაძის ოჯახში. პატარაობიდანვე ბალერინობაზე ვოცნებობდი. როდესაც ჩვენთან მამას რუსი მეგობარი, პიანისტი ლევ ობორინი მოვიდოდა სტუმრად და როიალზე დაკვრას დაიწყებდა, მაშინვე ცეკვას ვიწყებდი. აღვიზარდე იმ ოჯახში, სადაც ხელოვნებაზე უზომოდ შეყვარებული და ხელოვნებისადმი თავდადებული ადამიანები ცხოვრობდნენ. ჩვენს სახლში ყოველთვის მუსიკალური ატმოსფერო სუფევდა – იყო ცეკვა და სიმღერა, ზოგი უკრავდა, ზოგი ცეკვავდა, ზოგიც ხატავდა...

ბაბუაჩემმა – მელიტონ ბალანჩივაძემ დაწერა პირველი ქართული ოპერა „თამარ ცბიერი“, ასევე, პირველი ქართული რომანსები; მამა – ანდრია ბალანჩივაძე ავტორია პირველი ქართული ბალეტისა „მზეჭაბუკი“, მანვე დაწერა ქართული სიმფონიის პირველი სრულყოფილი ნიმუში; ბიძაჩემმა, ჯორჯ ბალანჩინმა, შექმნა ამერიკული ბალეტი და გააოგნა მსოფლიო; ჩემი ძმა – ჯარჯი ბალანჩივაძე კი, ყველასგან გამორჩეული მუსიკოსი და თვითმყოფადი მხატვარი იყო.

აი, ასეთ გარემოცვაში ვიზრდებოდი. ბუნებრივია, რომ მეც ხელოვნების გზას გავყევი... თბილისის ქორეოგრაფიული სასწავლებლის დამთავრების შემდეგ (პედაგოგი – გრიშკევიჩი) სტაჟირება გავიარე სტანისლავსკისა და ნემიროვიჩ-დანჩენკოს თეატრში (პედაგოგები: ხოლფინა, კუზნეცოვი, გოლუბინი). ვმუშაობდი თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრში, ვახტანგ ჭაბუკიანის ხელმძღვანელობით. სოლო პარტიების შესრულების შემდეგ, დამევალა წამყვანი პარტიების შესრულება სპექტაკლებში: „სინათლე“ (კეთილი ფერია), „ბაიადერა“ (ნიკა), „ჰამლეტი“ (ოფელია), „ჟიზელი“ (ჟიზელი), „კოპელია“ (სვანილდა) და მრავალი სხვა. თეატრში ჩემს როლებზე მუშაობდნენ ბალეტმეისტერები: ვ. ჭაბუკიანი, ზ. კიკალეიშვილი, გ. დავითაშვილი, გ. ალექსიძე, ბ. მონავარდისაშვილი, რ. წულუკიძე; რეპეტიტორები: ვ. წიგნაძე, მ. ბაუერი, კაპრელისი, ბუიანოვსკაია. თეატრში მოღვაწეობის დროს, პარალელურად, როგორც მოცეკვავე და დამდგმელი, ვმუშაობდი „კამერულ მუსიკალურ თეატრში“, რომელსაც მამა ხელმძღვანელობდა.

აღსანიშნავია, რომ 1988 წელს, თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრში შედგა ჩემი შემოქმედებითი საღამო, სადაც მთავარი პარტიები შევასრულე ჯორჯ ბალანჩინის დადგმებში: „სერენადა“ და „გლუკი-მელოდია“. ვმუშაობდი ქორეოგრაფიულ სასწავლებელში კლასიკური ცეკვის პედაგოგად. 1995 წლიდან, ოჯახური პირობების გამო, სასწავლებლიდან წამოვედი. სცენაზე ჩემი მრავალწლიანი მოღვაწეობისთვის მიღებული მაქვს მრავალი მედალი თუ საპატიო სიგელი, ღირსების ორდენი, ვარ საქართველოს დამსახურებული არტისტი, საქართველოს თეატრის მოღვაწეთა კავშირის წევრი.

– ქალბატონო ცისკარ, საუბარი უფრო შორიდან, თქვენი ღირსეული წინაპრებით დავიწყოთ. გვიამბეთ ბაბუათქვენის, მელიტონ ბალანჩივაძის შესახებ.

ბაბუა, მელიტონ ბალანჩივაძე, იმერეთის უმშვენიერეს სოფელ ბანოჯაში დაიბადა. მამამისი – ანტონ ბალანჩივაძე ქუთაისის პეტრე-პავლეს სახელობის ეკლესიის მოძღვარი იყო. მელიტონმა დაწყებითი განათლება ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში მიიღო. მისი მუსიკალური ნიჭისთვის დიდი ყურადღება მიუქცევია მოსწავლეთა მგალობელთა გუნდის ხელმძღვანელს, ვლადიმერ აღნიაშვილს. მალე ბაბუას თავად ჩამოუყალიბებია მოსწავლეთა ქართული ხალხური სიმღერა-გალობის გუნდი. მისი ხელმძღვანელობით, 1883 წელს, თბილისში, პირველად გამართულა საჯაროდ ქართული ხალხური სიმღერების კონცერტი, რასაც დიდი კულტურულ-ეროვნული მნიშვნელობა ჰქონია. აღსანიშნავია, რომ ბაბუას დიდი წვლილი მიუძღვის ქართული ხალხური სიმღერებისა და გალობის გადარჩენაში, ხალხური სიმღერების ჩაწერა-შესწავლის თვალსაზრისით, მან ცნობილ ფოლკლორისტთან, ფილიმონ ქორიძესთან ერთად, მთელი საქართველო შემოიარა.



მელიტონ ბალანჩივაძე

1889 წელს, პროფესიული დონის ასამაღლებლად ბაბუა პეტერბურგში მიემგზავრება, სადაც მისი უფროსი ძმა, ნიჭიერი მხატვარი – ვასილ ბალანჩივაძე სწავლობდა და დავით სარაჯიშვილის სტიპენდიანტი იყო. პეტერბურგის კონსერვატორიაში ის ჯერ ვოკალის, ხოლო შემდეგ, კონსერვატორიის დირექტორის ანტონ რუბინშტეინის რჩევით, საკომპოზიტორო კლასში აგრძელებს სწავლას (პედაგოგი – რიმსკი-კორსაკოვი). ანტონ რუბინშტეინი ბაბუას, როგორც ნიჭიერ სტუდენტს, ძალიან ეხმარებოდა. ერთხელ ბაბუასთვის დავალება მიუცია და უთქვამს, სახლში იმეცადინეო, როცა გაუგია, რომ მელიტონი ხელმოკლე სტუდენტი იყო და პიანინო არ ჰქონდა, გადაუწყვეტია მისთვის საჩუქარი გაეკეთებია. მიაჩნდა, რომ ასეთ ნიჭიერ სტუდენტს აუცილებლად უნდა ჰქონოდა მუშაობის საშუალება. ერთ დღესაც, სახლში მისულ მელიტონს ოთახში როიალი დახვდა. რუბინშტეინი ბაბუას სტიპენდიასაც აძლევდა.

როგორც ამბობდნენ, ბაბუა ძალიან ხელგაშლილი კაცი ყოფილა, ბოჰემური ცხოვრება უყვარდა. ერთხელ, პეტერბურგში ყოფნის დროს, 100-მანეთიანი ლატარიით 200. 000 მანეთი მოუგია. ის ძალიან ბევრ ადამიანს ეხმარებოდა. მნიშვნელოვანია ისიც, რომ მან პირველმა გამოსცა დიდი რუსი კომპოზიტორის, მიხაილ გლინკას წერილების კრებული.

მაშინდელი პეტერბურგის კულტურული საზოგადოება ბაბუასადმი კეთილგანწყობილი იყო. სხვათა შორის, პეტერბურგში დღესაც სათუთად უფრთხილდებიან მელიტონ ბალანჩივაძის არქივს, სადაც ბევრი ჩვენთვის უცნობი ნაწარმოები ინახება. იმ პერიოდში, მელიტონი სათავეში ედგა ქართული საღამოების მოწყობას, რომელსაც საყოველთაო ღირსშესანიშნაობად აქცევდა. სწორედ ქართულ საღამოზე აჟღერდა მისი პირველი ოპერა „თამარ ცბიერი“, რომელსაც მოგვიანებით „დარეჯან ცბიერი“ ეწოდა. მსგავს საღამოებს საზოგადოების მხრიდან დიდი გამოხმაურება მოჰყვებოდა ხოლმე, რეცენზიების ავტორები დიდ პატივს მიაგებდნენ მის სულისჩამდგმელს, მელიტონ ბალანჩივაძეს. საყურადღებოა, რომ ქართული საღამოები საქველმოქმედო იყო და რუსეთში ქართველი სტუდენტების დახმარებას ემსახურებოდა. მინდა ერთი შემთხვევის შესახებ გიამბოთ. ერთხელ ბაბუა ძალიან გაბრაზებულა ვინმე რუს რეცენზენტზე, რომელმაც სვანურ სიმღერას ველური და პრიმიტიული უწოდა. პეტერბურგიდან ბაბუა სვანეთში ჩასულა, პირველად ჩაუწერია რამდენიმე სვანური სიმღერა, თან სამი სვანიც წამოუყვანია და ქუთაისში კონცერტები გაუმართავს. მელიტონ ბალანჩივაძე პირველია ქართველ მუსიკოსთა შორის, ვინც საზოგადოებას სვანური სიმღერის მშვენება ამცნო. პეტერბურგში ყოფნის პერიოდში მან ასევე ჩაწერა კახური სიმღერები.

ბაბუა პეტერბურგში დაქორწინდა ბებიაჩემზე – მარია ნიკოლოზის ასულ ვასილიევაზე. ბებია ნახევრად გერმანელი გახლდათ. მიღებული ჰქონდა მუსიკალური განათლება. ძალიან მოწესრიგებული, საკმაოდ მკაცრი და პრინციპული ადამიანი იყო. მოფერებით «Белая бабушка»-ს ვეძახდით, მეორე ბებიას კი – «Черная бабушка»-ს. პეტერბურგში დაიბადნენ: თამარი, გიორგი (ჯორჯი) და ანდრია. მამიდაჩემი – თამარი, ნიჭიერი მხატვარი იყო, ძალიან კეთილშობილი ადამიანი. სამწუხაროა, რომ ტრაგიკული ბედი ხვდა წილად, 1943 წელს, ლენინგრადის ბლოკადას ემსხვერპლა. სხვათა შორის, თბილისის სამხატვრო აკადემიაში მისი ერთი ნახატი ინახება, რომელიც სტუდენტობის პერიოდში შეუსრულებია.

საქართველოში ბაბუა 28 წლის შემდეგ, მეუღლესთან და ორ შვილთან ერთად დაბრუნდა, რათა ქუთაისში მუსიკალური სასწავლებელი დაეარსებინა. ბიძაჩემმა – გიორგიმ პეტერბურგში მარტო დარჩენა არჩია, რადგან საქართველოში დაბრუნების შემთხვევაში, საბალეტო ხელოვნებაზე უზომოდ შეყვარებულს, ბალეტისთვის თავი უნდა დაენებებინა. მამა ხშირად ამბობდა: *„რას წარმოვიდგენდი, თუ მე და გიორგი ერთმანეთს 44 წლით დავემშვიდობებოდით“*. საქართველოში დაბრუნების შემდეგ, ფართოდ გაიშალა ბაბუას მუსიკალური და საზოგადოებრივი მოღვაწეობა. მისი თაოსნობით, 1918 წელს, ქუთაისში, დაარსდა მუსიკალური სასწავლებელი, რომელიც მის სახელს ატარებს; აქტიურად მონაწილეობდა ხალხური სიმღერების გუნდების დაარსებაში; მეთაურობდა სახალხო განათლების სამუსიკო განყოფილებას, ხალხური მუსიკის შემკრებ და შემსწავლელ კომისიას... ქართული კულტურის განვითარებაში მისი ღვაწლის შესახებ საუბარი ძალიან შორს ნაგვიყვანს, მთავარი ის არის, რომ ბაბუას სახელი უკავშირდება ქართული კლასიკური მუსიკის საწყისებს, პროფესიული მუსიკის განვითარებას, ქართული ტრადიციული მუსიკის გადარჩენისათვის მოღვაწეობას. მან ქართველ ხალხს დაუტოვა პატრიოტული სულისკვეთებით, ლირიზმით განმსჭვალული ნაწარმოებები: „დარეჯან ცბიერი“, კანტატა „დიდება ზაჰესს“, „სტუდენტების სიმღერა“ ქალ-ვაჟთა გუნდისთვის; „ქართული ეროვნული მარში“ სიმფონიური ორკესტრისთვის. მისი რომანსები აღიარებულია ქართულ მუსიკაში რომანსის ჟანრის პირველ კლასიკურ ნიმუშებად: „ნანა“, „შენ გეტრფი მარად“, „ოდესაც გიცქერ“.

ბაბუა, ოჯახთან ერთად, თბილისში, პეროვის ქუჩაზე ცხოვრობდა. მის შესახებ დედის ნაამბობიდან ვიცი, მუშაობის უჩვეულო მეთოდი ჰქონდა, იატაკზე მოფენდა ნოტებს და ასე წერდა მუსიკას. ძალიან ნელა, ხანგრძლივად იწერებოდა მისი ნაწარმოებები. ყველგან და ყოველთვის თან დაჰქონდა მისი განუყრელი ატრიბუტი – ჩიბუხი. შესანიშნავად მღეროდა, გალობდა ეკლესიებში. განსაკუთრებით ხშირად იმეორებდა თურმე ამ ფრაზას: *„მაკოცე ერთი, იწამე ღმერთი“*.

– მიუხედავად იმისა, რომ ჯორჯ ბალანჩინის შესახებ ძალიან ბევრი დაწერილა, ალბათ ჩვენი მკითხველისათვის საინტერესო იქნება მის შესახებ თქვენი ნაამბობი...

„ადამიანი მოცეკვავედ იბადება. ვერც ოსტატი და ვერც წლები ვერ მოახდენს სასწაულებს და უნიჭო შეგირდისგან კარგ მოცეკვავეს ვერ შექმნის. შეიძლება შეიძინო კონკრეტული ცეკვის ტექნიკა, მაგრამ ვერასოდეს შეიძენ განსაკუთრებულ და გამორჩეულ ტალანტს. ვერასოდეს ვიამაყებ, რომ მე ოდესმე განსაკუთრებულად ნიჭიერი შეგირდი მყავდა. პავლოვა არა ჩემი, არამედ თვით ღმერთის შეგირდია.“ – ჯორჯ ბალანჩინი.



ანდრია ბალანჩივაძე

XX საუკუნის პორტრეტები

ბიძაჩემი – გიორგი ბალანჩივაძე, იგივე ჯორჯ ბალანჩინი, ბავშვობაში თურმე სამხედრო კარიერაზე ოცნებობდა. პეტერბურგის მარიინის საბალეტო სასწავლებელში შემთხვევით მოხვდა, დას – თამარს გაჰყვა სინჯებზე, მიიღეს ის და არა მამიდაჩემი. სასწავლებლის დამთავრების შემდეგ, გიორგი ირიცხება პეტროგრადის კონსერვატორიის საბალეტო კლასში. ცეკვის პარალელურად, კონსერვატორიაში დაეუფლა ფორტეპიანოს, მუსიკის თეორიას, კომპოზიციას, ჰარმონიას. პირველი ცეკვა გიორგიმ 16 წლის ასაკში დადგა – პა-დე-დე რუბინშტეინის მუსიკაზე, სახელწოდებით „La nuit“, რომელსაც სტუდენტ გოგონასთან ერთად ასრულებდა. რევოლუციის წლებში, როცა ფული გაუფასურდა, იმისთვის რომ ეარსება, ხშირად მოუწია ფორტეპიანოზე დაკვრა კაბარეებსა და მუნჯი კინოს დარბაზებში. ამ პერიოდს იგი ასე იხსენებს: *„ახალ მაყურებელს კლასიკური ბალეტი არ აინტერესებდა. თეატრში მოდიოდნენ ჯარისკაცები, მეზღვაურები, ეწეოდნენ დარბაზში, მზესუმზირას აკნატუნებდნენ, მუსიკას ფეხს აყოლებდნენ... მერე მობეზრდათ თეატრში სიარული, რადგან აქ არ ათბობდნენ... მშიერი მსახიობები ევროპაში გარბოდნენ“.* 19 წლისამ მცირე საბალეტო დასი – „ახალგაზრდული ბალეტი“ – ჩამოაყალიბა. მის მიერ შეთხზულმა ექსპერიმენტული ხასიათის ცეკვამ ბოლშევიკური ხელისუფლების გულისწყრომა გამოიწვია, დაემუქრნენ კიდეც, თუ თავს არ დაანებებდა საბჭოთა მოქალაქისთვის მავნე ექსპერიმენტებს, მარიინის თეატრიდან დაითხოვდნენ. ალბათ, ასეთმა შეზღუდვებმა, პოლიტიკურმა მოტივებმა და თან დართულმა სოციალურმა სიდუხჭირემ განაპირობა მისი ემიგრაციაში წასვლა. 1924 წელს, გერმანიაში გასტროლების დროს, რამდენიმე მოცეკვავე ქალთან ერთად, გიორგი ევროპაში რჩება, როგორც ემიგრანტი. მალე, ცნობილი თეატრალური მოღვაწის – სერგეი დიაგილევის მოწვევას იღებს პარიზიდან, რუსული საბალეტო დასის ბალეტმაისტერის თანამდებობაზე. დიაგილევი დახვეწილი გემოვნების მქონე ხელოვანი იყო. გიორგიმ დიაგილევის დასში მოღვაწეობისას 9 ბალეტზე მეტი დადგა. სწორედ დიაგილევის რჩევით გადაიკეთა სახელი და გვარი ევროპულ ყაიდაზე. ასე მოევლინა მსოფლიოს ჯორჯ ბალანჩინი. თუმცა ჯორჯისთვის ევროპაში თავის დამკვიდრება იოლი არ აღმოჩნდა. იყო პერიოდი, როცა პარიზსა და მონტე-კარლოში მას „ხელმოცარულ არტისტს“ უწოდებდნენ. ამას დაემატა მისი ავადმყოფობა, სრულიად ახალგაზრდა ტუბერკულოზით დაავადდა. *„შარვალი გავყიდე და იმ ფულით საჭმელი ვიყიდე“* – წერს ბალანჩინი ერთ-ერთ მოგონებაში. დიაგილევმა იგი სამკურნალოდ შვეიცარიაში გააგზავნა. მალე გამოჯანმრთელდა და ბრიტანელი საზოგადო მოღვაწის, ედუარდ ჯეიმსის დახმარებით საკუთარი საბალეტო დასი – „ბალე – 1933“ დააარსა. ჯორჯი ნელ-ნელა წარმატებული ხდება. ლონდონში გასტროლების დროს, მის სპექტაკლს ესწრებოდა ამერიკელი ბიზნესმენი ლინკოლნ კირსტაინი, რომელმაც ბალანჩინი ამერიკაში მიიწვია... *„საოცრად მომხიბვლელი, შავგვრემანი ახალგაზრდა, ყველაზე დახვეწილი ბალეტმაისტერი, რომელიც შემხვედრია ცხოვრებაში... მას შეეძლო შენ თვალწინ სასწაულის მოხდენა“* – ასე ახასიათებს ჯორჯ ბალანჩინს ამერიკაში ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი კლასიკური საბალეტო დასის ორგანიზატორი ლინკოლნ კირსტაინი. ჯორჯი ამერიკაში მიდის, სადაც აარსებს დასს, სახელწოდებით – „ნიუ-იორკ სითი ბალე“ და დგამს „სერენადას“, რომელმაც ჯორჯ ბალანჩინი მთელ მსოფლიოს გააცნო. ასე დაიწყო ამერიკული ბალეტის დიდების ხანა და ბალანჩინის მსოფლიო აღიარება.

– მრავალწლიანი განშორების შემდეგ ჯორჯ ბალანჩინი საქართველოში ჩამოდის, ალბათ შთამბეჭდავი იყო ეს შეხვედრა...

1962 წელს ჯორჯ ბალანჩინი, „ნიუ-იორკ სითი ბალესთან“ ერთად, გასტროლებზე საბჭოთა კავშირში ჩამოვიდა.

„ამერიკული თვითმფრინავიდან გიორგი, კაპიტანივით, სულ ბოლოს გამოვიდა და, წარმოიდგინეთ, პირდაპირ ჩემკენ გამოემართა. დამხვედრიც და ჩამოსულიც ყველა ტიროდა... საქართველოშიც ჩამოვიდა, თბილისმა ის აღაფრთოვანა, აღფრთოვანებულები იყვნენ თბილისელებიც ბალანჩინითა და მისი საბალეტო დასით. შემდეგ ჩვენ ქუთაისსაც ვეწვიეთ, მოვინახულეთ მამაჩვენის საფლავი „მწვანე ყვავილაში“... ერთად მოვიარეთ დასავლეთ საქართველოს რაიონები... ჩვენი ცეკვებიც ნახა, მოისმინა პოლიფონიური სიმღერებიც... ბალანჩინი გაოგნებული დარჩა... 10 წლის შემდეგ კი, ბალანჩინის საქართველოში მეორე ჩამოსვლისას, ის უკვე ქართველობდა.“ – ასე იხსენებდა მამა 44 წლის უნახავ ძმასთან შეხვედრას.

ჯორჯ ბალანჩინი

„მამამ ავსტრიიდან ჯორჯ ბალანჩინის დეპეშა მიიღო, რომელიც იუწყებოდა, მოსკოვში საგასტროლოდ ჩამოვდივარო. იმხანად, მოსკოვში, სახელმწიფო კონსერვატორიაში ვსწავლობდი და შეხვედრის თვითმხილველი გავხდი. მახსოვს სამი ამერიკული თვითმფრინავიდან მთელი დასი გადმოვიდა. ბალანჩინი კაპიტანივით, თეატრალურად ჩამოვიდა კიბე ზე. რა თქმა უნდა, ბალანჩინიმ მყისვე იცნო, მზერით იპოვა თავისი ძმა, მივიდა და გადაეხვია. ასე გავიცანი ბიძა, რომელიც ადრე არასოდეს მინახავს... მანქანაში ჯორჯ ბალანჩინიმ საუბარი დაიწყო პოლიომიელიტის საფრთხე ზე, რომელმაც მისი ახალგაზრდა მეუღლე, ცნობილი ბალერინა თანაქუილ ლეკლერი იმსხვერპლა... ამის შემდეგ ბალანჩინს სასტუმრო „მოსკოვში“ შევხვდით. მაშინ ძალიან ახალგაზრდა ვიყავი და მის შემოქმედებაზე უფრო მისი პირადი ცხოვრება მაინტერესებდა. ვიცოდი, ბევრი ცოლი ჰყავდა და სულ ბალერინებზე ქორწინდებოდა. მახსოვს პირველი, რაც ბიძაჩემს ვკითხე, ის იყო, რატომ დაქორწინდა რამდენჯერმე... გაეცინა და მიპასუხა: ალბათ იმიტომ, რომ ყოველთვის ისინი მტოვებდნენ და არა მე... ამის მიუხედავად მთელი ცხოვრება ვცდილობდი, მათთვის ცხოვრება გამელამაზებინა. ქალები ჩემს ხელში ბევრად ლამაზები ხდებოდნენ.“ – ამონარიდი ჯარჯი ბალანჩივაძის მოგონებიდან.

თავად ბალანჩინი კი, მაშინდელ თბილისს ასე იხსენებდა: *„ქალაქს ადამიანები ალამაზებენ... ადამიანებს კი, აქ ეშინიათ ჩვენთან შეხვედრის, რადგან ყველგან ოფიციალური პირები დაგვყვებოდნენ. ისინი ჩვეულებრივ ადამიანებს ჩვენთან მოსვლას უკრძალავდნენ“.*

მოგეხსენებათ, საბჭოთა პერიოდში რა რთული იყო უცხოეთში მცხოვრებ ადამიანებთან ურთიერთობა. თავდაპირველად, ჯორჯს მხოლოდ წერილებით ვეკონტაქტებოდით. მისი წარმატებების შესახებ მხოლოდ ოჯახის წევრებმა ვიცოდით. საზოგადოებისთვის ბალანჩინის მოღვაწეობა გასაიდუმლოებული და დაფარული იყო. ემიგრანტი ძმის გამო, მამასაც შეზღუდვები ჰქონდა და ყოველთვის თვალთვალის ქვეშ იყო. როცა ბალანჩინი თბილისში ჩამოვიდა, ძალიან დაძაბული იყო, როგორც შემდეგ გავიგეთ, საბჭოთა კავშირში ჩამოსვლის ძალიან ეშინოდა. ამ რეჟიმის იმედი არ ჰქონდა, არ იცოდა, რა ელოდა. ამბობდა, ხაფანგი ხომ არ დამიგესო. ნერვიულობდა. სახლში სულ აქეთ-იქეთ იყურებოდა, მოსასმენი აპარატი ხომ არ არის დამონტაჟებულიო. ძალიან ფრთხილობდა.

– მიუხედავად იმისა, რომ თბილისსა და მოსკოვში ბალანჩინის ბალეტს უდიდესი წარმატება ხვდა წილად, სააბჭოთა ხელისუფლებამ თბილისში ბალეტის დადგმის საშუალება მას არ მისცა, რას უწუნებდნენ დიდ ქორეოგრაფს საბჭოეთში?

ბალანჩინს გადაწყვეტილი ჰქონია მამას მუსიკალური კრებულიდან მითოლოგიურ თემაზე უსიუჟეტო ბალეტი დაედგა, სამწუხაროდ, ჩანაფიქრი არ განხორციელდა. საბჭოთა ცენზურა განუწყვეტლივ ამტკიცებდა, რომ ბალანჩინის უსიუჟეტო ბალეტს მომავალი არ აქვს. აი, რას წერდა ამის შესახებ ბალანჩინი: *„ჩემს ბალეტს უსიუჟეტო, აბსტრაქტულ სპექტაკლებს უწოდებდნენ. მე ყოველთვის ვპასუხობდი: არა, მე ვდგამ კონკრეტულ ბალეტებს. აბსტრაქტულს ვერ დაინახავ, ვერ შეეხები. აბსტრაქტული შეიძლება იყოს მხოლოდ იდეა. მე კი ადამიანები მყავს. მათ აქვთ ხელები, ფეხები. ამიტომ ყველაფერი ეს ნამდვილია, ეს ცეკვაა“.*

ჯორჯი თავდაპირველად დგამდა სიუჟეტიან, ხოლო შემდეგ უსიუჟეტო (ე.წ. აბსტრაქტულ) ბალეტს. მის მიერ დადგმული ბალეტების უმრავლესობა ერთაქტიანია. მისი შემოქმედების ძირითადი მიზანი იყო, მახვილი ქორეოგრაფიული მონახაზის, ხატოვანი, რთული მოძრაობის მეოხებით მუსიკა გაეხადა ხილვადი. „მუსიკას უნდა ხედავდე, ბალეტი უნდა გესმოდეს“ – ამბობდა ბალანჩინი. მისმა ხელოვნებამ ხელი შეუწყო ქორეოგრაფიის ახალ მიმართულებების ფორმირებას. იგი ყველას ერთნაირ ყურადღებას უთმობდა – კორდებალეტსაც და სოლისტებსაც. ნეოკლასიკური ბალეტის ფუძემდებელმა უარი თქვა დეკორაციებზე, კლასიკური ბალეტისთვის დამახასიათებელ პანტომიმაზე, ტრადიციულ კლასიკურ ხაზებსა და მოძრაობებზე. მისთვის არ არსებობდა მთავარი და მეორეხარისხოვანი, წინა პლანი და ფონი. *„ბალეტი უნდა იყოს თავისთავადი. ბალეტი, უპირველესად სილამაზე, პოეზიაა. ბალეტზე უნდა ვილაპარაკოთ ესთეტიკური პოზიციებიდან, თუ კი საერთოდ საჭიროა მასზე ლაპარაკი... მოცეკვავის ყველა უჯრედი უნდა მღეროდეს... მთელი ჩემი ცხოვრების მანძილზე ვცდილობ, რომ ადამიანის სხეულმა არ დაჰკარგოს თავისი აზრი და სილამაზე.“* – წერდა ჯორჯი.

ბალანჩინს დადგმული აქვს 160-ზე მეტი საბალეტო სპექტაკლი – ბუენოს-აირესის, კოპენჰაგენის, ლონდონის, მილანის და სხვა ქალაქების თეატრებში. მისი საუკეთესო დადგმებია: პროკოფიევის „უძღები შვილი“, სტრავინსკის „აპოლონ მუსაგეტი“, „ორფეევსი“, „აგონი“, ბიზეს მუსიკის მიხედვით – „ბროლის სასახლე“, ჩაიკოვსკის მუსიკის მიხედვით – „ბალე იმპერიალი“, ჩაიკოვსკის „სერენადა“ და მრავალი სხვ. ბალანჩინი მთელმა მსოფლიომ აღიარა თანამედროვეობის უდიდეს ქორეოგრაფად.

– დიახ, ბალანჩინის გენიალურობა მსოფლიომ აღიარა, მისი პროფესიონალიზმის შესახებ ახალს ჩვენ ვერაფერს ვიტყვით, იქნებ გვიამბოთ, როგორი იყო ჯორჯ ბალანჩინი კულისებს მიღმა.

ჯორჯი გულჩათხრობილი, ასკეტური ბუნების ადამიანი იყო. ცოტათი ცივიც. მაგრამ ძალიან დახვეწილი მანერები და განსხვავებული ჩაცმის სტილი ჰქონდა. ამბობდა, ყოველთვის ვცდილობდი ადამიანის სხეული გამელამაზებინაო. ძალიან უყვარდა მოსწავლეები, მაგრამ ძალიან მკაცრად ექცეოდა მათ, ყოველთვის მაქსიმალურს მოითხოვდა. ხმამაღლა ამბობდა იმას, რასაც ფიქრობდა. ის ებრძოდა და ამსხვრევდა სტერეოტიპებს. ჯორჯი სიამაყით იხსენებდა საიმპერატორო თეატრში გატარებულ წლებს, თავის პედაგოგებს, არისტოკრატ ანდრიანოვს. მართლაც, ყველა დროში გამოირჩეოდა პეტერბურგის მარიინის საბალეტო სასწავლებელი. იქ ხშირად იმართებოდა მეჯლისები, სადაც ჯორჯი ცეკვავდა და შესანიშნავად ფლობდა სამეჯლისო ხელოვნებას. ძალიან უყვარდა ჩაიკოვსკი, მას მეორე მამას უწოდებდა, ამბობდა, მის მუსიკაში ბავშვობის ნოსტალგიას ვხედავო. ბალანჩინი წერილებს არც თუ ისე ხშირად გვიგზავნიდა. ერთ-ერთ წერილში, სადაც მისი ქორწინების ამბავს გვატყობინებს, დედას სწერდა: «...и прошу у тебя родительского благословения». როცა საქართველოში ჩამოვიდა, მე მაშინ თეატრში ვმუშაობდი. მართალია, ჯორჯმა ქართული არ იცოდა, მაგრამ ყოველთვის ხაზს უსვამდა თავის ქართველობას. ნაამბობიდან ვიცი, რომ ერთხელ, რეპეტიციის დროს, ბალანჩინი თავისი დასის ერთ-ერთ ბალერინასთან ახლოს მისულა და ქართულად უთქვამს: *„შენი ჭირიმე“.* უყვარდა ქართული სამზარეულო, განსაკუთრებით – ხაჭაპური. ერთ-ერთ წერილში ჯორჯი დედას საცივის რეცეპტის და საკმაზების გაგზავნასაც კი სთხოვს.

ბალანჩინი ამბობდა, რომ მისი მუზები ბალერინები იყვნენ, ამიტომაც: *„ბალანჩინის ბალეტში ქალი მთავარი იყო, მამაკაცი კი მხოლოდ მისი პარტნიორი გახლდათ. იმჟამინდელ ქართულ ბალეტში კი წამყვანი როლი კაცს ეკუთვნოდა. ასე იყო ვახტანგ ჭაბუკიანის მიერ დადგმულ ანდრია ბალანჩივაძის პირველ ქართულ ბალეტში „მთების გული“, რომელსაც უდიდესი წარმატება ხვდა წილად და რომლის მხატვარი ლეგენდარული სოლიკო ვირსალაძე იყო, დირიჟორი კი – ევგენი მიქელაძე. მოგვიანებით, როცა ქართველმა ქორეოგრაფებმა ჯორჯ ბალანჩინის მიბაძვა დაიწყეს, ქართულმა ეროვნულმა ბალეტმა, ქორეოგრაფიამ სახე დაკარგა...“* – ჯარჯი ბალანჩივაძის ჩანაწერებიდან.

მრავალი წლის შემდეგ, ბალანჩინის საქართველოში ჩამოსვლით მიღებულ შთაბეჭდილებებს მისი ბავშვობის მეგობარი მ. მიხაილოვი ასე გაიხსენებს, ბალანჩინი ამერიკიდან სულ სხვა ადამიანი ჩამოვიდაო. რასაკვირველია, ჩვენ აღფრთოვანებული ვიყავით ბალანჩინის ტექნიკით. საოცარი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე მისმა ქორეოგრაფიამ. თუმცა, იმის მაგივრად, რომ შემექო, ასე ვუთხარი: «Вы знаете, мне понравился балетмайстер Тюдор», მას გაეცინა და თავაზიანად მიპასუხა: «Да, да, Тюдор хороший балетмайстер». მიუხედავად იმისა, რომ გენიალური ქორეოგრაფი, კლასიკური ამერიკული ბალეტის ფუძემდებელი იყო, მაინც აკრიტიკებდნენ. ბალანჩინი ამბობდა, მოსკოვში მეუბნენიან: «...У вас нет души...», მე მათ ასე ვპასუხობ: «А вы, что, в бога верите, что говорите о душе?!».



ჯარჯი ბალანჩივაძე

10

იურისტის კონსულტაცია

დროებითი შრომისუუნაროობა

აქვს თუ არა უფლება საჯარო სკოლას, უარი განუცხადოს პედაგოგს დროებითი შრომისუუნაროობის გამო დახმარების გაცემაზე თანხების არარსებობის გამო?

საჯარო სკოლას არ აქვს უფლება, უარი განუცხადოს პედაგოგს დროებითი შრომისუუნაროობის გამო დახმარების გაცემაზე თანხების არარსებობის გამო. საჯარო სკოლა (დამსაქმებელი) ვალდებულია, გასცეს დახმარება დროებითი შრომისუუნაროობის მთელ პერიოდზე.

დახმარების გასაცემად საკმარისი თანხის არარსებობის შემთხვევაში, სკოლა უფლებამოსილია, მიმართოს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს და მოითხოვოს ფინანსების მიღება დახმარების გაცემის მიზნით. სამინისტროს მიერ საკითხის შესწავლის შემდეგ, სკოლა მიიღებს საჭირო თანხას პედაგოგზე დროებითი შრომისუუნაროობის გამო დახმარების გასაცემად.

რა შემთხვევებში ენიშნება სკოლის პედაგოგს დახმარება დროებითი შრომისუუნაროობის გამო?

სკოლის პედაგოგს (დასაქმებულს) დროებითი შრომისუუნაროობის გამო დახმარება ენიშნება:

ა) დაავადებით ან დასახიჩრებით გამოწვეული შრომის უნარის დაკარგვის შემთხვევაში;

ბ) ოჯახის ავადმყოფი წევრის მოვლის გამო;

გ) კარანტინის გამო;

დ) პროთეზირების გამო;

დროებითი შრომისუუნაროობის რა პერიოდზე გაიცემა დახმარება სკოლის პედაგოგზე?

დროებითი შრომისუუნაროობის გამო დახმარება პედაგოგზე (დასაქმებულზე) გაიცემა სკოლის (დამსაქმებლის) მიერ დროებითი შრომისუუნაროობის მთელ პერიოდზე. დროებითი შრომისუუნაროობის გამო დახმარება ინიშნება საავადმყოფო ფურცლის გაცემის პირველი დღიდან.

რა წესით გაიცემა სკოლის პედაგოგზე დროებითი შრომისუუნაროობის გამო დახმარება, მისი შვებულებაში ყოფნის დროს დროებითი შრომისუუნაროობის დაწყების შემთხვევაში?

პედაგოგის შვებულებაში ყოფნის დროს დროებითი შრომისუუნაროობის დაწყების შემთხვევაში, დროებითი შრომისუუნაროობის გამო დახმარება გაიცემა დროებითი შრომისუუნაროობის მთელ პერიოდზე. ამ შემთხვევაში, შვებულების დღეები გადაიწევს საავადმყოფო ფურცელში მითითებული დღეების რაოდენობით.

რა შემთხვევებში არ მიეცემა დასაქმებულს დახმარება დროებითი შრომისუუნაროობის გამო?

დროებითი შრომისუუნაროობის გამო დახმარება არ მიეცემათ:

ა) პირებს, რომლებმაც ტრავმა მიიღეს დანაშაულებრივი ქმედების ჩადენის დროს ან განზრახ აყენებენ ზიანს თავიანთ ჯანმრთელობას;

ბ) მკურნალი ექიმის მიერ დაწესებული რეჟიმის დარღვევისას;

გ) თუ დროებითი შრომისუუნაროობა გამოწვეულია დაავადებით ან ტრავმით, რომლის უშუალო მიზეზია არაფხიზელი მდგომარეობა (ალკოჰოლური, ნარკოტიკული და სხვა ფსიქოაქტიური ნივთიერებით თრობა);

დ) კანონით დადგენილი წესით სამსახურიდან ჩამოშორების ან სასამართლოს გადაწყვეტილებით არანებაყოფლობითი სტაციონარული ფსიქიატრიული დახმარების და სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზაზე ყოფნის დროს.

დროებითი შრომისუუნაროობის გამო დახმარება არ გაიცემა დამსაქმებლისათვის (სკოლისათვის) საავადმყოფო ფურცლის დახურვიდან 3 თვის შემდეგ წარდგენის შემთხვევაში.

სკოლის გუღალტრის მიერ დროებითი შრომისუუნაროობის გამო დახმარების ოდენობის გამოანგარიშებისას მიიღება თუ არა მხედველობაში ხელფასზე დანამატები?

დროებითი შრომიუუნაროობის გამო დახმარების ოდენობის გამოანგარიშებისას მხედველობაში არ მიიღება დანამატები, ასევე ერთდროული სახის დახმარებები, პრემიები და მატერიალური ჯილდოები, ზეგანაკვეთური ანაზღაურება, ერთჯერადი სამუშაოს ანაზღაურება, რომელიც არ წარმოადგენს ძირითადი სამუშაოსთვის მიღებულ გასამრჯელოს.

როგორ ხდება დროებითი შრომისუუნაროობის გამო დახმარების ოდენობის გაანგარიშება?

დასაქმებულისათვის გასაცემი დროებითი შრომისუუნაროობის გამო დახმარების ოდენობის გაანგარიშების ბაზას წარმოადგენს შრომითი ხელშეკრულებით განსაზღვრული შრომის ანაზღაურება.

თუ შრომითი ხელშეკრულებით არ არის განსაზღვრული შრომის ანაზღაურების ოდენობა, ამ შემთხვევაში, დროებითი შრომისუუნაროობის გამო დახმარების ოდენობის გაანგარიშების ბაზას წარმოადგენს დროებითი შრომისუუნაროობის დადგომამდე, უკანასკნელი 3 თვის განმავლობაში, დარიცხული შრომის ანაზღაურების მიხედვით გაანგარიშებული საშუალო თვიური შრომის ანაზღაურება.

გამომუშავებაზე დამოკიდებული შრომის ანაზღაურების შემთხვევაში, დროებითი შრომისუუნაროობის გამო დახმარების ოდენობის გაანგარიშების ბაზას წარმოადგენს დროებითი შრომისუუნაროობის დადგომამდე, უკანასკნელი 3 თვის განმავლობაში, დარიცხული შრომის ანაზღაურების მიხედვით გაანგარიშებული საშუალო თვიური შრომის ანაზღაურება.

თუ შრომითი ხელშეკრულებით არ არის განსაზღვრული შრომის ანაზღაურების ოდენობა, ასევე გამომუშავებაზე დამოკიდებული შრომის ანაზღაურების შემთხვევაში, თუ დასაქმებულს არ გააჩნია მოცემულ დამსაქმებელთან სამი თვის მუშაობის სტაჟი ან უკანასკნელი 3 თვის განმავლობაში არ მომხდარა შრომის ანაზღაურების დარიცხვა, საშუალო თვიური შრომის ანაზღაურება გამოითვლება მოცემულ დამსაქმებელთან შესაბამისი პროფესიისა და კვალიფიკაციის დასაქმებულისათვის გადახდილი საშუალო თვიური შრომის ანაზღაურებიდან.

რა წესით ხდება დროებითი შრომისუუნაროობის გამო დახმარების გაცემა, ერთდროულად რამდენიმე დამსაქმებელთან მუშაობის შემთხვევაში?

ერთდროულად რამდენიმე დამსაქმებელთან მუშაობის შემთხვევაში, დროებითი შრომისუუნაროობის გამო დახმარება გაიცემა ყველა დამსაქმებელთან ცალ-ცალკე.

თამარ ავალიანი
საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის იურისტი

XX საუკუნის პორტრეტები

მეცხრე გვერდიდან

– როგორ აფასებდა ბალანჩინი თქვენს ცეკვას, თუ გაძლევდათ პროფესიულ შენიშვნებს, არ გაგჩენიათ სურვილი მის საბალეტო დასში გეცეკვათ?

ერთხელ, ერთმა ქართველმა ბალერონმა, ზურაბ კიკალეიშვილმა, რომელიც ბალანჩინმა ამერიკაში, თავის დასში მიიწვია, მას ჩემზე ჰკითხა, რატომ თქვენი ახალგაზრდა ძმისშვილი არ მიგყავთ თქვენთან ბალეტშიო? მან ასე უპასუხა: «Я не хочу доставлять неприятности семье». სიმართლე გითხრათ, გული არ დამწყვეტია, მოგეხსენებათ, მაშინ ძალიან რთული პერიოდი იყო. ბალანჩინისთვის შეიძლება მძიმე ტვირთი გავმხდარიყავი. ვფიქრობ, რომ ჩემი თავის რეალიზება საქართველოში შესანიშნავად შევძელი. საბედნიეროდ, მოვასწარი ბალანჩინის ორი დადგმის – „სერენადა“, „გლუკი-მელოდია“ – ცეკვა, სადაც, როგორც წამყვანმა ბალერინამ, მთავარი პარტიები შევასრულე. მან რამდენიმე შენიშვნა მომცა, რომელიც ძალიან გამომადგა.

ამერიკიდან საჩუქრებს გვიგზავნიდა, მე ბალერინას ჩასაცმელს – პუანტებს, კაბებს, კოსტიუმებს, მეგობრებს – მაჯის საათებს. გვეუბნებოდა, მომწერეთ, რა გინდათ და გამოგიგზავნითო. მის განსხვავებულ ხასიათსა და დახვეწილ გემოვნებაზე საჩუქრებიც მეტყველებდა. ყველასგან განსხვავებული, თავისი დიდებული სამყარო ჰქონდა.

– ამბობენ, სიცოცხლის უკანასკნელ წლებში, ბალანჩინი განსაკუთრებით უსვამდა ხაზს თავის ქართველობასო...

როცა საქართველოში უკანასკნელად ჩამოვიდა, ახლო ნათესავთან შევიკრიბეთ სტუმრად, სადღეგრძელო ცრემლმორეულმა წარმოთქვა და დასძინა, უკანასკნელად ვარ საქართველოშიო... როგორც ჩანს, გრძნობდა გარდაცვალების მოახლოებას. მამას ეუბნებოდა: «Когда мне бывает плохо, образ отца меня успокайвает: спокойно, спокойно...» ჯორჯი 1983 წელს ალცჰაიმერის დაავადებით გარდაიცვალა.

ანდერძის თანახმად, მისი ქონება დასის ბალერინებს შორის გადანაწილდა. მიუხედავად იმისა, რომ ბევრი ცოლი ჰყავდა, სამწუხაროდ, შვილი არ დარჩენია. ამბობდნენ, რომ შვილის ყოლის წინააღმდეგი თავად იყო. თუმცა, ერთ-ერთი მისი მეუღლე ფეხმძიმობისას პოლიომიელიტით დაავადდა და უმშვენიერესი ბალერინა სამუდამოდ დაინვალიდდა. მას შემდეგ ოფიციალურად აღარ უქორწინია. სამწუხაროა, რომ ჯორჯი მარტოობაში გარდაიცვალა. ჩვენ ძალიან გვიან გავიგეთ მისი გარდაცვალების ამბავი. სხვადასხვა მიზეზთა გამო ვერ შევძელით ამერიკაში გამგზავრება. ამიტომაც იყო, რომ დაკრძალვას არც ერთი მისი ქართველი ნათესავი არ დასწრებია. ბუნებრივია, მამამ ძალიან განიცადა. ამბობენ, რომ სიცოცხლის უკანასკნელ წლებში თითქმის ყოველდღე იხსენებდა ბავშვობას, პეტერბურგს, ჩაიკოვსკის და განსაკუთრებით კი – ხაზს უსვამდა თავის ქართველობასო. მისი გარდაცვალების შემდეგ ამერიკიდან მამას სამახსოვროდ საათი და ოქროს ჯვარი ჩამოუტანეს. ბალანჩინი დაკრძალულია ნიუ-იორკში, ოკლენდის სასაფლაოზე.

– ქალბატონო ცისკარ, ამბობენ ჯორჯი და ანდრია ერთმანეთისგან განსხვავებულები იყვნენო. როგორი იყო მამა, ბალანჩივაძეების გვარის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი წარმომადგენელი.

მამა გახსნილი, ძალიან სტუმართმოყვარე, თბილი, მხიარული ადამიანი იყო, თუმცა, ძალიან პრინციპული და პირდაპირი. მამას პეტერბურგიდან ხშირად ჩამოჰყავდა ხელოვანი ადამიანები და ქართველ ხელოვნებს აცნობდა. მისი მოსწავლეები იყვნენ: რევაზ ლაღიძე, ალექსანდრე შავერზაშვილი, ბიძინა კვერნაძე, არჩილ ჩიმაკაძე, შოთა მილორავა, მერი დავითაშვილი და მრავალი სხვ. მამასთან კონსულტაციისთვის ხშირად მოდიოდნენ: ოთარ თაქთაქიშვილი, ალექსი მაჭავარიანი, გია ყანჩელი. მამა იხსენებდა, მე და ჯორჯი ბავშვობაში კარგი მეგობრები ვიყავით, ამავე დროს, ხშირად ვჩხუბობდით და გამარჯვებული ყოველთვის მე გამოვდიოდიო. მამა და ჯორჯი ერთად შესანიშნავად უკრავდნენ პიანინოზე. როცა მეკითხებიან მათზე, ასე ვპასუხობ: ჯორჯი იყო უფრო ამაღლებული, მამა კი – უფრო ადამიანური. მოგეხსენებათ, მამას დაწერილი აქვს მუსიკა 30-ზე მეტი სპექტაკლისთვის, ასევე ისეთი ფილმებისთვის, რომლებიც დღესაც ახსოვს მაყურებელს: „დაკარგული სამოთხე“, „გიორგი სააკაძე“, „დავით გურამიშვილი“, „ისინი ჩამოვიდნენ მთიდან“, „მამლუქი“.

„მამა ძალიან ნიჭიერი ხელოვანი გახლდათ. მას ეკუთვნის პირველი ქართული ბალეტი – „მთების გული“. ანდრია ბალანჩივაძე, საბჭოთა კავშირის მასშტაბით, საკმაოდ ცნობილი კომპოზიტორი იყო. ჭაბუკიანის მიერ დადგმულ „მთების გულს“ დიდი წარმატება ხვდა წილად. სპექტაკლს სოლიკო ვირსალაძე აფორმებდა და ევგენი მიქელაძე დირიჟორობდა... მანვე შექმნა მუსიკა უამრავი მხატვრული ფილმისთვის. მუშაობდა თეატრში, იყო კოტე მარჯანიშვილის უსაყვარლესი კომპოზიტორი. ჩვენს სახლში იკრიბებოდნენ იმდროინდელი საქართველოს და არა მხოლოდ საქართველოს უდიდესი ხელოვნები... საქართველოში იყო ერთი გენიალური დუეტი – ანდრია ბალანჩივაძისა და გალაკტიონ ტაბიძის. მამა უკრავდა, გალაკტიონი კი – მუსიკის ფონზე შთამბეჭდავად კითხულობდა თავის შედევრებს. როცა „მერის“ კითხულობდა, ფრანგი კომპოზიტორის, მასნეს „ელეგიის“ დაკვრას სთხოვდა. ეს განუმეორებელი დუეტი საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მოგზაურობდა. მამა ამბობდა, გალაკტიონის დრამატული ხმა ყოველთვის განწყობას მიქმნიდაო“ – ასე იხსენებდა მამას ჯარჯი ბალანჩივაძე.

„ანდრია ჩემთვის ერთი ჩვეულებრივი ბაბუა იყო. როცა გავიზარდე, მერე უფრო დავაფასე. მას თავისი მუსიკით განცდების მოყოლა ისე ლამაზად და ძლიერად შეეძლო, რომ დროში ცოცხლობდა. ის აღარ არის, მიუხედავად ამისა, მომავალ თაობებთან კონტაქტი აქვს. სხვანაირად შევხედე ბაბუას. ძალიან საინტერესო ადამიანი იყო ანდრიას მეუღლე – პანა. ის პირველი გახლდათ, ვინც ჩემს შემოქმედებით სურვილებს გზა გაუხსნა, მომცა პასტელები და მითხრა: რაც გინდა, გააკეთე, თუ გინდა, კედლებიც მოხატეო. მართლაც მოვხატე. ანდრია არ წუხდებოდა, როდესაც მის სამუშაო კაბინეტში რაღაცას ვხატავდი. გადააბიჯებდა საღებავებს და ჩემს ნამუშევრებსაც ინტერესით გადახედავდა ხოლმე...“ – ამონარიდი ანტონ ბალანჩივაძის ერთ-ერთი ინტერვიუდან.

– თქვენი ძმა, ჯარჯი ბალანჩივაძე პროფესიონალი პიანისტი და, როგორც უწოდებენ, „ზღაპრული სამყაროს“ მხატვარი იყო...

„სამწუხაროდ, დღეს საზოგადოების დიდი ნაწილი ხელოვნების დანიშნულებად მხოლოდ გართობას მიიჩნევს, ამიტომაც მომრავლდა ზერელე, ზედაპირული სპექტაკლები, კონკურსები. თვით შოთა რუსთაველის სახელობის აკადემიურ თეატრში დადგმული სპექტაკლებიც მაყურებლის გართობას ემსახურება, ეს შოუა, სანახაობა. დღეს, ტელეეკრანსა თუ საკონცერტო დარბაზებში სულ მღერიან, მაგრამ აზრი, სიხარული და ამაღლებული განწყობა არ ჩანს. ეს ყველაფერი უფრო სპორტულ შეჯიბრებას დაემსგავსა, რაც ნამდვილი ხელოვნებისათვის მიუღებელია.“ – ჯარჯი ბალანჩივაძის ჩანაწერებიდან

ჯარჯი ძალიან სერიოზული პიანისტი იყო. საქართველოს კამერული ორკესტრის – „ორფეევსის“ სამხატვრო ხელმძღვანელი და დირიჟორი. მას დამთავრებული ჰქონდა მოსკოვის სახელმწიფო კონსერვატორია, იყო თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის პედაგოგი... თავისი სამყარო ჰქონდა, ყველასგან განსხვავებული ადამიანი იყო, არ უყვარდა აფიშირება და თავის თავზე საუბარი. ალბათ ამიტომაც, საქართველოში მაინცდამაინც პოპულარული არ იყო. *„დრო ბევრი რამის მანიშნებელია. სწორედ დრო განსაზღვრავს, რამდენად კარგია ესა თუ ის ნაწარმოები. მაქვს ისეთი ნახატები, რომელთა ყურება დროთა განმავლობაში მეც მბეზრდება და რამდენიმე გადამიკეთებია კიდეც... როდესაც ქუჩაში ძაღლთან ერთად ვსეირნობ, გამვლელები მიახლოვდებიან ხოლმე და, რა საყვარელიაო, ძაღლზე მეუბნებიან. მე კი მინდა, რომ ასეთი შეფასება და დამოკიდებულება მათ არა მხოლოდ ცხოველების, არამედ ადამიანების მიმართაც გაუჩნდეთ. აი, ამაზე ვოცნებობ.“* – ჯარჯი ბალანჩივაძის ჩანაწერებიდან.

ჯარჯი შესანიშნავად ხატავდა. მისი ნახატები საქართველოს თითქმის ყველა გალერეაშია გამოფენილი. უცხოეთში ბევრჯერ ჰქონდა გამოფენა, კერძოდ გერმანიასა და ჰოლანდიაში. ადრე მასზე ამბობდნენ: ჯარჯი მუსიკოსია, რომელსაც ხატვა ძალიან უყვარსო, თუმცა, მალევე ყველა დარწმუნდა, რომ მის ცხოვრებაში ხატვასა და მუსიკას თითქმის თანაბარი ადგილი ეკავა. თავად ჯარჯი ამბობდა: *„როდესაც მუსიკისგან ვისვენებ, მაშინ ვხატავ, ხოლო როდესაც ნახატების სიჩუმე მღლის, მაშინ კარგია მუსიკა“...* მისი მხატვრული სამყარო იმდენად ზღაპრულია, რომ ბავშვებსაც ხიბლავს და უფროსებსაც. ზღაპრული სამყაროსთვის დამახასიათებელი ფერადოვნება, მარტივი და უშუალო პერსონაჟები – აი, ასეთი იყო ჯარჯის ხატვის სტილი. *„ვხატავ, სადაც ზღაპრული სამყაროს პარალელურად, საკუთარ სათქმელსაც ვდებ და მიხარია, როდესაც ამას დამთვალიერებელი აღიქვამს... ერთხელ, როდესაც ჯორჯ ბალანჩინი საქართველოში იმყოფებოდა, მას ვაჩვენე ერთ-ერთი კლასიკური მხატვრის ნამუშევარი, რომელიც კედელზე მეკიდა და, ხომ კარგია-თქო ვკითხე. მან კი მიპასუხა – მე ეს მირჩევნიაო, და ჩემს ნამუშევარზე მიმითითა, იქვე რომ ეკიდა... მისმა პასუხმა ძალიან გამახარა. მით უფრო, რომ მას ისეთ მხატვრებთან თანამშრომლობის გამოცდილება ჰქონდა, როგორებიც იყვნენ: პაბლო პიკასო, მარკ შაგალი, ჰენრი მატისი და ა.შ. აი, ამის მერე დავიწყე აქტიურად ხატვა და უფრო გავთამამდი. შემდეგ მოხდა ისე, რომ ერთ გამოფენაზე ჩემი ყველა ნამუშევარი გაიყიდა და ამანაც დიდი სტიმული მომცა, რომ მეხატა და მეხატა. როდესაც საკუთარ ნამუშევარს სხვას ჩუქნი, ვერ იგებ, ნამდვილად მოეწონა თუ არა შენი ნახატი. მაგრამ, როდესაც ადამიანი საკუთარი სურვილით ყიდულობს ნახატს, მოსწონს და იმიტომ აკეთებს ამას... მხატვრობას დიდი დრო სჭირდება.“* – ჯარჯი ბალანჩივაძის ჩანაწერებიდან.

„ჯარჯი ხომ ძალიან ცოცხალ და საყვარელ მცენარეებს ხატავს, რაც ძალზე რთული გასაკეთებელია თვით ძალიან დიდი პროფესიონალისათვის. მე საათობით ვაკვირდებოდი მის მცენარეთა ყლორტებს, ფოთლებს და, მე მგონი, რაღაც ვისწავლე – ასე მგონია“ – გია ბუღაძე.

– სასიხარულოა, რომ ბალანჩივაძეების საგვარეულო ტრადიცია ქართული კულტურის მსახურების კვლავ გრძელდება. ბალანჩივაძეების გვარის მეოთხე თაობის წარმომადგენელი, დიდი ბაბუას მოსახელე – ანტონ ბალანჩივაძეც ხელოვნების გზას გაჰყვა, დღეს ის პროფესიონალი მხატვარია.

ანტონი მართლაც ნიჭიერი მხატვარია, მისი ნახატები დიდი პოპულარობით სარგებლობს საზღვარგარეთ. მან მხატვრობის გზა აირჩია და არც შემცდარა. მიხარია, რომ ბალანჩივაძეების გვარში ხელოვნებისადმი მსახურება გრძელდება.

ესაუბრა
მაკა ყიფიანი

სპორტი

აფხაზეთის სამეზობლო თასი

ნუგზარ ასათიანის სახელობის ახალგახსნილ საფარიკაო დარბაზში, აფხაზეთის სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამმართველოს, განათლებისა და კულტურის სამინისტროს, აფხაზეთის ფარიკაობის ფედერაციის თაოსნობით, „აფხაზეთის თასზე“ საერთაშორისო ტურნირი გაიმართა 1999-2002 წლებში დაბადებულ მოფარიკავეთა შორის. მასპინძლებთან ერთად, შეჯიბრებაში ახლო მეზობლები – სომხეთის, აზერბაიჯანის და ჩრდილო ოსეთის გუნდები მონაწილეობდნენ, ადგილობრივები საკმაოდ ფართო სპექტრით იყვნენ წარმოდგენილი – აფხაზეთი, თბილისი, რუსთავი, ქუთაისი, აჭარა და გურია, რომელიც ახალი წერტილია სპორტის ამ სახეობის რუკაზე. გურიას ოზურგეთის რაიონის სოფელ შრომის გუნდი წარმოადგენდა, სადაც, თურმე, სკოლაში ფარიკაობის სექცია, სპორტის მასწავლებელ **თამაზ კვაჭაძის** მონდომებით, ორი წელიწადია, არსებობს.

ამ ასაკის მოზარდებისთვის ნებისმიერი შეჯიბრება მისასალმებელია და აუცილებელი. მით უფრო, დამწყებ სპორტსმენთა ის ნაწილი, რომელიც ასაკობრივ ნაკრებში ვერ ხვდება, ვერც უცხოეთში გადის ტურნირებზე. ასეთ შემთხვევაში, მათთვის შიდა ასპარეზობები ჰაერივითაა საჭირო.

საერთაშორისო ტურნირზე ჩამოსული უცხოური გუნდები წინა წლებშიც იყვნენ ჩვენთან შეჯიბრებებზე. ისინი ფარიკაობის აღიარებულ ცენტრებს ჯერ არ მიეკუთვნებიან, თუმცა აზერბაიჯანშიც და ოსეთშიც ამ სახეობას, ბოლო წლებში, დიდ ყურადღებას უთმობენ და უკვე საგრძნობ წარმატებებსაც მიაღწიეს, ჩვენს ნაკრებზე ბევრად მეტს. ამდენად, იქაურთა სტუმრობა ჩვენი მოზარდებისთვის დიდი სკოლაა.

წლების წინ აფხაზეთი საქართველოში ფარიკაობის ერთ-ერთი ცენტრი იყო, ისეთივე, როგორც – თბილისი. ეს ტურნირიც ამ გუნდების უპირატესობით წარიმართა, თუმცა თავი არც სტუმრებს შეურცხვენიათ. **ზურაბ ლოლუას** დამოძღვრილმა აფხაზეთის გუნდმა სამი მედალი მოიპოვა – ერთი ოქრო და ორი ბრინჯაო. აფხაზეთის დამსახურებული მწვრთნელების – როზა ჯოლოგუას და თამაზ კაკულიას სახელობის პრიზებიც იქაურებს გადაეცათ.

თბილისელებმა სამი ოქრო და თითო ვერცხლ-ბრინჯაო ირგუნეს. ურიგოდ არც რუსთაველები და ქუთაისელები გამოდიან, სადაც ბოლო წლებში სულ უფრო პოპულარული ხდება ფარიკაობა. სტატისტებად არც გურულები დარჩენილან, რომლებმაც ერთი ვერცხლი მოიპოვეს, რითაც ყველა გააოცეს. თუმცა გამოუცდელობა რომ არა, ოქროს მოპოვებაც შეეძლოთ – დაშნით მოფარიკავეთა ფინალში **გელა მჟავია** ოს **ალან კესაევთან** მხოლოდ ერთი ჩხვლეტით დამარცხდა – 9:10. გურულთაგან ურიგოდ არც **გიორგი კვაჭაძეს** უასპარეზია – რვა საუკეთესოს შორის მოხვდა, ხოლო **ნინო ბარამიძეს** პერსპექტიული მოფარიკავის პრიზი გადაეცა.

სტუმრებმა განსაკუთრებით დაშნაში იმარჯვეს – გოგონებშიც და ვაჟებშიც ოქროს მედლები ოსებს დარჩათ. თუმცა, ვაჟებში თუ კიდევ გაუწიეს კონკურენცია სხვებმა, გოგონებში სრული უპირატესობა მოიპოვეს – სამივე სინჯის მედალი. აზერბაიჯანელები და სომხები ამჯერად ოქროს ვერ შესწვდნენ და სხვა სინჯის მედლებს დასჯერდნენ.

ადგილები ასე განაწილდა:

გოგონები

ხმალი. 1. **ელენე ნანობაშვილი**, 2. **ანა აფრასიძე** (ორივე – თბილისი), 3. **თამარ კენჯია** (აფხაზეთი), **ნარმინ ჯაფაროვა** (აზერბაიჯანი).

რაპირა. 1. **ლიკა ჯიჯეიშვილი** (თბილისი), 2. **მარიამ ცუხიშვილი** (რუსთავი), 3. **ანა შუბაშვილი** (თბილისი), **ანა ველიკოვა** (აზერბაიჯანი).

დაშნა. 1. **მანანა საუმოვა**, 2. **ალიონა სურაშენკო**, 3. **მარინა კესაევა** (სამივე – ჩრდ. ოსეთი), **ნინო გაბუნია** (ქუთაისი).

ვაჟები

ხმალი. 1. **ნიკა შენგელია** (აფხაზეთი), 2. **ჯავანშირ აგაკიშიევი** (აზერბაიჯანი), 3. **ვაჟა რეჭია** (აფხაზეთი), **გიორგი მერკვილაძე** (ქუთაისი).

რაპირა. 1. **გივი ხართიშვილი** (თბილისი), 2. **გიორგი ჭუმბურიძე** (ქუთაისი), 3. **არმენ დალაქიანი**, **კარენ სორსუნათიანი** (ორივე – სომხეთი).

დაშნა. 1. **ალან კესაევი** (ჩრდ. ოსეთი), 2. **გელა მჟავია** (ოზურგეთი), 3. **ნიკა კილასონია** (რუსთავი), **არსენ არაზიანი** (სომხეთი).

ელიტრაუნდი დაზავებით დავიწყეთ

ამ დღეებში, თბილისი ფეხბურთელთა მეტად პრესტიჟული ტურნირის მასპინძელია – 17-წლამდელთა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ციკლის ელიტრაუნდის, სადაც ჩვენები „სიკვდილის ჯგუფში“ მოხვდნენ ესპანეთთან, ინგლისთან და უკრაინასთან ერთად. **ვასილ მაისურაძის** დამოძღვრილმა ქართველმა მოზარდებმა უკვე გამართეს ჯგუფის პირველი შეხვედრა – ერთ-ერთ ფავორიტად შერაცხულ ესპანეთს უმასპინძლეს.

ისე მოხდა, რომ ამ თამაშში ჩვენები უპირატესობას მხოლოდ ტაიმების დასაწყისში ფლობდნენ, დანარჩენ დროს კი, მოედანზე სტუმრები დომინირებდნენ. მასპინძლებმა უპირატესობა მხოლოდ პირველი ტაიმის დასაწყისში გამოიყენეს, თუმცა ამაში ხელი დიდწილად ისევ ესპანელებმა შეუწყვეს – საკუთარ საჯარიმოში ხელით ითამაშეს და მსაჯმაც უყოყმანოდ დანიშნა პენალტი, რაც **ჭიაბერ ჭეჭელაშვილმა** უნაკლოდ გამოიყენა. ამ ეპიზოდისგან განსხვავებით, ჩვენებმა მეორე ტაიმის დასაწყისში ვერ იხეირეს, როცა მეტ-ნაკლებად რეალური ორი საგოლე მომენტი შექმნეს. სამაგიეროდ, პირველი ტაიმისგან განსხვავებით, მეტოქის ზეწოლას ვერ გაუძლეს და ესპანელთა კაპიტანმა **ივან საესმა** თავურით ანგარიშიც გაათანაბრა. ამით საკუთარი შეცდომა გამოისყიდა, რადგან პენალტი მის გამო დაინიშნა.

ჯგუფის მეორე შეხვედრაში ინგლისმა უკრაინას 1:0 სძლია. ჩვენები მეორე მატჩში სწორედ ინგლისელებს დაუპირისპირდებიან. ფინალურ ეტაპზე მხოლოდ ჯგუფის გამარჯვებული გადის.

რუბრიკას უძღვება
ირაკლი თავაძე

ქართველი მწერლები

- ვაჟა-ფშაველა (10-ტომეული), I-IV ტომი, – 11 ლარი
- ალექსანდრე ყაზბეგი (2-ტომეული), I-II ტომი, – 11 ლარი
- მიხეილ ჯავახიშვილი (7-ტომეული), I-VII ტომი – 11 ლარი
- ლევან გოთუა (7-ტომეული), I-II ტომი – 16 ლარი
- ედიშერ ყიფიანი (2-ტომეული), I-II ტომი – 15 ლარი
- კონსტანტინე გამსახურდია (10-ტომეული), I, II, III, VI, VII,VIII ტომი – 16 ლარი, IV-V ტომი –18 ლარი
- რევაზ ინანიშვილი (6-ტომეული), I-VI ტომი – 12 ლარი
- ვახტანგ ჭელიძე (9-ტომეული), I-IV ტომი –12 ლარი
- გრიგოლ აბაშიძე (6-ტომეული), I-II ტომი – 12 ლარი
- ოტია იოსელიანი (10-ტომეული), I-IX ტომი – 12 ლარი
- თამაზ ჭილაძე (6-ტომეული), I-VI ტომი – 10 ლარი
- გოდერძი ჩოხელი (5-ტომეული), I-IV ტომი – 13 ლარი

მითითებულია თითო ტომის ფასი

გამომცემლობა „დიოგენესა“ და გაზეთ „ახალი განათლების“ სპეციალური პროექტი

ხელმომწერთა საყურადღებოდ!

თუ თქვენ წიგნის მოყვარული ბრძანდებით, შეგიძლიათ ისარგებლოთ „დიოგენეს“ შემოთავაზებით და გააფორმოთ ხელმოწერა.

გამოიწერეთ წიგნები და მიიღეთ სპეციალურ ფასად

საყმაწვილო ენციკლოპედია „მუსიკა“

29.90

17 ~~ლარი~~

საყმაწვილო ენციკლოპედია „სპორტი“

~~29.90~~

10 ლარი



კომენტირებული ტექსტი და ანალიტიკური გზამკვლევი ლიტერატურის შემსწავლელთა და მოყვარულთათვის

ავტორი თამაზ ვასაძე

11 ლარი

მოსწავლეებისა და პედაგოგების სამაგიდო წიგნი

თამარ ბეროზაშვილი

„ქართული ენის სასკოლო განმარტებითი ლექსიკონი“

~~14.90~~

10 ლარი

„ახალი განათლების“ წიგნის თარო

მიმდინარეობს ხელმოწერა

გადმორიცხვისას აუცილებლად მიუთითეთ ქალაქი, რაიონი, სოფელი, სკოლა, სახელი და გვარი.

შესაძლებელია ინდივიდუალური ხელმოწერები!

მსურველები დაგვიკავშირდით ტელეფონებზე:
295 80 23; 8790 95 80 23; 577 13 22 83.

ხელმოწერის თანხა გადმორიცხეთ რეკვიზიტებზე:
მიმღები – შპს „ახალი განათლება“, ს/კ202058735
ს/ს„ლიბერთი ბანკი“, ბ/კLBRTGE22, ა/ა GE93LB0113314052305000

ჯეგოგვიერთდით!



მსოფლიო ისტორიის ენციკლოპედია
~~45~~ 35 ლარი

საბავშვო ცხოველთა ენციკლოპედია
~~30~~ 26 ლარი

ხელოვნების ილუსტრირებული ისტორია
~~40~~ 30 ლარი

„მსოფლიო ლიტერატურის კლასიკოსები“

ერთი ტომი – 12 ლარი

- გუსტავ ფლობერი - **მადამ ბოვარი**
- ონორე დე ბალზაკი - **მამა გორიო**
- ვიქტორ ჰიუგო - **პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი**
- ემილ ზოლა - **ქალთა ბედნიერება**
- ალექსანდრე დიუმა - **კავკასია**
- ფიოდორ დოსტოევსკი - **მკვდარი სახლის ჩანაწერები**
- ჰენრი რაიდერ ჰაგარდი - **მონტესუმას ასული**
- სტენდალი - **წითელი და შავი**
- ლევ ტოლსტოი - **კავკასიური მოთხრობები**
- ჯონათან სვიფტი - **გულივერის მოგზაურობა**
- ერიხ მარია რემარკი - **სამი მეგობარი**
- შოდერლო დე ლაკლო - **სახიფათო კავშირები**
- ალექსანდრე პუშკინი - **მოთხრობები** ახალი
- შტეფან ცვაიგი - **მოუთმენლობა გულისა** ახალი
- მაინ რიდი - **კვარტერონი** ახალი



„რა არის რა“
50-ტომეული.
ერთი ტომის ფასი
11 ლარი
გაყიდვაშია სერიის 27 ტომი



ილია ჭავჭავაძე, ორტომეული

ორტომეულის ფასი 16 ლარი



საქართველოს ისტორიული ატლასი

ფასი 5,70 ლარი

ახალი განათლება

მთავარი რედაქტორი: მარიკა ჩიქოვანი

მისამართი: ტატელაშვილის №3 ტელ.: 295 80 23, 8790 958023, 577 132283.
www.axaliganatleba.ge E-mail: axaliganatleba@gmail.com Skype: axali.ganatleba

რეგისტრაციის № 2/4-1609, ინდექსი ხელმოწერისთვის: 76096
გაზეთი რეგისტრირებულია დიდუბის რაიონის სასამართლოს მიერ.

რედაქციის რეკვიზიტები: საქართველოს ბანკი ბ/კ BAGAGE22, ს/კ 202058735, ა/ა GE 86 BG 0000000 123631000 GEL

ISSN 2233-386X

9 772233 386008 >

რედაქციაში შემოსული ხელნაწერები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდებათ.

C M Y K